მანფრედ კ. ჰ. ეგგერტი

არქეოლოგია: ისტორიული ხელოვნების მეცნიერების ძირითადი ნიშან-თვისებები

პირველი ქართული გამოცემა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი 2009

გრძელდება წიგნზე მუშაობა.

წიგნის თარგმანი დაფინანსდა საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს პროგრამით – „საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების განვითარება“. წიგნს გამოსაცემად ამზადებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

© 2006 Narr Francke Attempto Verlag GmbH + Co. KG

ქართული გამოცემის საავტორო უფლება
© სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-9117-6-7

წინასიტყვაობა

ჰამბურგის, ერლანგენისა და ტიუბინგენის უნივერსიტეტებში მრავალწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის დროს ყოველთვის მქონდა უკმარისობის გრძნობა იმის გამო, რომ არ არსებობს იმ არქეოლოგიური საგნების სისტემური აღწერილობა, რომლებიც გერმანულ უნივერისტეტებში ისწავლება. ამ ხარვეზმა განსაკუთრებით მაშინ იჩინა თავი, როდესაც ბოლო წლებში არქეოლოგიის მრავალდარგოვნებისა და ერთიანობის უფრო დაწვრილებით განხილვა განვიზრახე. მიზნად დავისახე, ცალკეული არქეოლოგიური საგნებისა და ამდენად მთლიანად არქეოლოგიის ისტორიასთან მიმართების გარკვევა. „ისტორიაში“ ვგულისხმობ ისტორიულ მეცნიერებას ვიწრო გაგებით, ანუ მეცნიერებას წარსულის შესახებ, რომელიც ძირითადად წერილობით წყაროებს ემყარება. ჩემს გამოკვლევაში მას უნდა შედარდეს, ძირითადად არაწერილობით წყაროებსა და საველე არქეოლოგიური გამოკვლევების შედეგებზე დაფუძნებული არქეოლოგიური დარგები.. ჩემი მთავარი ამოცანაა, არქეოლოგია წარმოვაჩინო, როგორც ისტორიულ-კულტუროლოგიური დისციპლინა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ მიზნის განხორციელების მცდელობამ უფრო ფართო მეცნიერული კვლევის საჭიროება წარმოშვა, მაგალითად, XIX საუკუნეში ჩამყალიბებული ურთიერთდაპირისპირებული წყვილის — „ჰუმანიტარული მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერება“ — განხილვა. ამასთანავე, ცხადი გახდა, რომ მიზნის მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა, ჰ. მიულერ-კარპეს მიერ გამოყენებული ტერმინის — „ცალკეული არქეოლოგიების“ ერთობლივად განხილვის საფუძველზე. ასე რომ, ამ წიგნის მიზანი, უპირველეს ყოვლისა, არქეოლოგიისა და ისტორიის მეთოდოლოგიური სტრუქტურების შედარება და ამ შედარების საფუძელზე გამოვლენილი განსხვავებების წარმოჩენაა. ამასთან ერთად, უნდა შემუშადეს არქეოლოგიური და ისტორიული კვლევის პირობები და ყურადღება მიექცეს მათ შორის არსებულ საერთო ნიშან-თვისებებსა და განსხვავებებს. ამ საკითხებთან დაკავშირებული გამოკვლევები გაანალიზებულია სამეცნიერო მიმოხილვებში, რომლებიც ერთვის თემას — „არქეოლოგია და ისტორიულ-კულტურული მეცნიერება“ — დაკავშირებულ მეცნიერულ მიმოხილვებს. ეს მიმოხილვები კი ისტორიულ-კულტურულ-მეცნიერული არქეოლოგიის ძირითადი ასპექტების მონიშვნაში გვეხმარება.

ასეთი ნაშრომის წერისას მეცნიერს მუდმივად აწუხებს იმის განცდა, რომ დილეტანტის დონეზე აღწერს სამეცნიერო მიმართულებებს, რომლებშიც მას სათანადო ცოდნა არა აქვს.

ტიუბინგენის უნივერსიტეტში ბევრმა თანამშრომელმა გამოთქვა ჩემი წიგნის ცალკეული თავების კრიტიკული თვალით წაკითხვის სურვილი. მათ შორის არიან: ფრიდჰელმ პრეიონი, ბეათ შვაიცერი (კლასიკური არქეოლოგია), პეტერ პფელცნერი (წინააზიური არქეოლოგია), ბარბარა შოლკმანი (შუასაუკუნეების

არქეოლოგია), ჰანს რაინჰარდ ზელიგერი, ბერბელ დიუმლერი და კირსტენ კრუმაიხი (ქრისტიანული არქეოლოგია), რისთვისაც მათ ყველას უღრმეს მადლობას მოვახსენებ. დიდი მადლობა მსურს გადავუხადო ბეათ შვაიცერს, რომელმაც ჩემთვის საჭირო ძირითადი ინფორმაცია და უამრავი ლიტერატურა მომაწოდა. ის, რომ ჩემი კოლეგები მზად იყვნენ ჩემთვის რჩევა მოეცათ, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ისინი ყველაფერში მეთანხმებიან. იმედს ვიტოვებ, მომიტევებენ, თუ აღმოაჩენენ, რომ მათი რჩევა და კრიტიკა წინამდებარე ნაშრომში სათანადოდ არ აისახა.

ასევე მსურს, მადლობა გადავუხადო იოახიმ ფრეის, რომელმაც ილუსტრაციები შეადგინა. განსაკუთრებით კი მადლობელი ვარ სტეფანი სამიდასი, რომელიც მუდმივად მიმითებდა მნიშვნელოვან ლიტერატურაზე. მასვე ვუმადლი ჩემი ნაშრომის სრული ტექსტის კრიტიკული თვალით წაკითხვას და მრავალრიცხოვან რჩევა-დარიგებას. მანვე მოახდინა გამოყენებული ლიტერატურის უნიფიცირება და შეადგინა ტერმინთა და პირთა საძიებელი. მადლობა სტეფანიე სამიდას, რომელმაც გააფორმა ილუსტრაციების უმრავლესობა და იზრუნა მათი ელექტრონული ვერსიის შექმნაზე. გულითადი მადლობა მსურს გადვუხადო ერთ-ერთ მკითხველს, რომელმაც კრიტიკული თვალით წაიკითხა ჩემი ნაშრომი, მაგრამ არჩია, რომ მისი გვარი არ დამესახელებინა. არ შემიძლია მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიო ლექტორები: სტეფან დიტრიხი და ანგელიკა პფალერი. როგორც ჩემი პირველი უტბ-ტომის გამოცემისას, ასევე ამჯერადაც გამომცემლობა „ა. ფრანკესთან“ კარგი თანამშრომლობისათვის მადლობას მოვახსენებ ჰორსტ შმიდტსაც.

მინდა აღვნიშნო, რომ წინამდებარე ნაშრომის სტრუქტურა და მნიშვნელოვანი ნაწილი ძირითადად იმ ორი სალექციო კურსის მასალას ეყრდნობა, რომლებიც 2001/2002 წლის ზამთრის და 2002 წლის ზაფხულის სემესტრებში ტიუბინგენის ებერჰარდ-კარლის სახელობის უნივერსიტეტში წავიკითხე.

ჩემს სურვილს, ეს ნაშრომი მანფრედ ო. კორფმანისათვის მიმეძღვნა, იგი სიხარულით შეხვდა. სამწუხაროა, რომ ამ წიგნს მას ვეღარ გადავცემ.

ტიუბინგენი, 22 დეკემბერი 2005 წელი მ.კ.ჰ.ე.

ს ა რ ჩ ე ვ ი

I შესავალი

1. შინაარსობრივი გამიჯვნა 1
2. არქეოლოგია და არქეოლოგიის დარგები.....3
3. საგნები და დისციპლინები 7

II არქეოლოგია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1. ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები 10
2. არქეოლოგიის დისციპლინარული ადგილის განსაზღვრა 17
3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების როლი 19
4. შედეგი 23

„გარდასული სინამდვილე გამოხატვის გარკვეული საზღვრებით შემოფარგლულ ნაშთებში აისახა. ისინი ამ ოდინდელი სინამდვილის ნაწყვეტებს მეტ-ნაკლებად ფრაგმენტულად აღგვიწერენ. მაგრამ მეცნიერების წინსვლა მის მიერ საკუთარი საზღვრების შესახებ სულ უფრო ცხადი ცოდნის მოპოვებასაც უნდა ნიშნავდეს. ჯერ კიდევ ბევრი გარჯა იქნება საჭირო სანამ გავიგებთ, რისი მოლოდინის უფლება შეიძლება გვქონდეს ერთმანეთისაგან და თითოეული სხვა საგნის წყაროებისაგან.

რაინჰარდ ვენსკუსი (1979, 648)

I შესავალი

1. შინაარსობრივი გამიჯვნა

წინამდებარე ნაშრომის მიზანია აღწეროს არქეოლოგია იმ სახით, რა სახითაც ის გერმანულ და გერმანულენოვან უნივერსიტეტებშია წარმოდგენილი. უნივერსიტეტებში არ ასწავლიან არქეოლოგიას როგორც ერთ მთლიან საგანს, ასეთი საგანი საერთოდ არ არსებობს, ასწავლიან ცალკეულ არქეოლოგიურ საგნებს. თანაც, სახვადასხვა უნივერსიტეტი სახვადასხვა არქეოლოგიური საგნების შესწავლის საშუალებას იძლევა. ჩემი ამოცანაა, ამ საგნების ამომწურავად განხილვა.

გერმანულენოვანი სამყაროთი და, შესაბამისად, გერმანული მეცნიერული ტრადიციებით შემოფარგვლა მკითხველთა ნაწილმა, შესაძლოა, ნაკლად მიიჩნიოს. რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა საკითხის საერთაშორისო მასშტაბით განხილვა, პრეისტორიულ და ადრეისტორიულ არქეოლოგიაში ანგლოფონების თეორიული დისკუსიებისათვის ყურადღების მიპყრობა. ამის საწინააღმდეგოდ იმთავითვე ორი მიზეზი არსებობდა: პირველი — ასეთი გამოკვლევისათვის შეუძლებელია შესაბამისი ფარგლების განსაზღვა, მეორე — დღემდე არ ჩარარებულა ამ პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელი მოსამზადებელი სამუშაოები. ამას ემატება მესამე მნიშვნელოვანი არგუმენტიც: ვფიქრობდი, რომ ჩემი კვლევა საკითხის შესწავლის შეზღუდულ მცდელობად არ დარჩებოდა, იმ შემთხვევაშიც, თუ ის მხოლოდ გერმანულენოვანი ქვეყნების არქეოლოგიური ტრადიციებისა და ცალკეული არქეოლოგიური საგნების შესწავლით შემოიფარგლებოდა. რა თქმა უნდა, საჭირო შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნება ის ძირითადი საკითხებიც, რომლებიც გერმანულენოვანი ქვეყნების არქეოლოგიურ ტრადიციებს სცილდება.

ჩემი მიზანი არ არის ჩემ მიერ განხილულ ცალკეულ საგნებთან დაკავშირებული უამრავი კვლევის მიმართულებისა და პრობ-

ლემატიკის სრულყოფილად წარმოდგენა. საკმარისია, ამ საგნების ძირითადი ასპექტების შეძლებისდაგვარად ლაკონურად მიმოხილვა და შემდეგ ყურადღების გადატანა მეთოდოლოგიურ საკითხებზე.[1] იმისათვის, რომ არქეოლოგია როგორც „ისტორიულ-კულტუროლოგიური მეცნიერება“ გასაგები გახდეს, საკმარისი არ არის ცალკეული არქეოლოგიური დარგების მხოლოდ საკვლევი ხანის — დროის მონაკვეთის, კვლევის საგნისა და წყაროების მიხედვით შესწავლა. უფრო მნიშვნელოვანია მათი კონცეფტუალური საფუძვლებისა და კვლევის მეთოდების დეტალურად შემუშავება.

სარჩევიდან ჩანს, რომ წიგნში თითოეულ მიმოხილვას წინ უძღვის და მოსდევს თავები, რომლებშიც ერთი მხრივ წინა თავებში განხილულ საკითხებზე მსჯელობაა და მეორე მხრივ, შეჯამებულია ის მსგავსებები და განსხვავებები, რომლებიც არქეოლოგიური საგნების მიმოხილვისას გახდა თვალსაჩინო. ჩემი მიზანია, შევიმუშავო არქეოლოგიის მახასიათებელი მიუხედავად იმისა, რომ არქეოლოგია, როგორც საუნივერსიტეტო საგანი არ არსებობს და არსებობს მხოლოდ როგორც „ინტეგრაციის საფეხური“, რომელიც თავისი არსით ცალკეული არქეოლოგიური საგნების შინაარსს გარკვეულწილად სცილდება. მის კომპონენტებს შორის არსებული განსხვავებების მიუხედავად, ზოგადი თვალსაზრისით არქეოლოგია წარმოადგენს მეცნიერებას, რომელიც სპეციფიკურ წყაროებზე და მათზე ორიენტირებულ კვლევის მეთოდებზეა დამყარებული. არქეოლოგიის, როგორც მეცნიერების, კვლევაძიების შედეგებიც მხოლოდ მისი სპეციფიური წყაროებიდან გამომდინარეობს.

ამ წიგნის ცალკეული თავები ერთ უცვლელ სქემას მისდევს, რომელიც ექსპერიმენტების შედეგად ჩამოყალიბდა. მიუხედავად იმისა, რომ ყოველგვარი სისტემატიკა მკაცრი და შეზღუდულია, ამ სქემის ფარგლებში შესაძლებლად მიმაჩნია არა მხოლოდ ჩემ მიერ განხილული თითოეული საგნის ინტერდისციპლინარული ხასიათის, არამედ თითოეული მათგანის თავისებურებების ჩვენებაც. ამ სქემის დაწვრილებით განხილვისას დავინახავთ, რომ ის აქცენტების გასაკეთებლად საკმარის თავისუფლებას გვაძლევს. ზუსტად ეს, ერთი შეხედვით დადებითი ფაქტი, შესაძლებელია, ნაკლი აღმოჩნდეს და შემდეგი კითხვების საფუძველი გახდეს: რატომ განიხილება ერთი კონკრეტული საკითხი მხოლოდ მისთვის განკუთვნილ ერთ თავში და სხვა თავებში აღარ არის წარმოდგენილი? ან რატომ მიმოიხილება ერთი საკითხი ამომწურავად და სხვა, რომელსაც იმავე კრიტერიუმებით უფრო დიდი ყურადღება უნდა მიქცეოდა, მხოლოდ მოკლედ არის წარმოდგენილი?

ეს და მსგავსი ხასიათის კითხვები სრულიად სამართლიანიად მიუთითებს იმ საზღვრებზე, რომლებშიც ჩემი ამოცანაა მოქცეული, მისი თუნდაც ნაწილობრივი განხორციელებისასაც კი.

იმედს ვიტოვებ, რომ ჩემი მიზანი მიღწეული იქნება.

1. როგორც ჩემს *პრეისტორიულ არქეოლოგიაში,* ასევე აქაც, სიტყვაში „მეთოდი“ ვგულისხმობ არქეოლოგიური წყაროების წესების შესაბამისი მეცნიერული მომზადებისა და ანალიზის პროცესს. მეთოდები მეთოდიკის დარგს მიეკუთვნება, „მეთოდოლოგიის“ საგანი კი არის ერთი რომელიმე მეცნიერების შეცნობისთვის საჭირო მეთოდების კვლევა. ჩემთვის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებულია როგორც მეთოდების, ასევე ჰიპოთეზებისა და თეორიების გამოყენების საკითხები. მეთოდოლოგიის სფეროს ეკუთვნის ასევე ახალი მეთოდების წარმოქმნის და უკვე არსებული მეთოდების მოდიფიცირების საკითხებიც. ზედსართავი სახელები „მეთოდური“ და „მეთოდოლოგიური“ გამოყენებული იქნება თავიანთი მნიშვნელობის შესაბამისად.



ილუსტრაცია1. 1 ცალკეული არქეოლოგიური საგნები

2. არქეოლოგია და არქეოლოგიის დარგები

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ წიგნში წარმოდგენილი იქნება როგორც „არქეოლოგია“, ასევე „არქეოლოგიებიც“. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მსჯელობიდან თანდათან გამოჩნდება, რა იგულისხმება თითოეული ცნების ქვეშ, მაინც მიზანშეწონილად მიმაჩნია რამდენიმე შენიშვნის გაკეთება. ეს შენიშვნები შეეხება „არქეოლოგიის“ ცნებასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, რომლებსაც შემდგომში აღარ განვიხილავთ.

წინა თავიდან თვალსაჩინო გახდა, რომ ტერმინი „არქეოლოგიები“ იმ ცალკეულ არქეოლოგიურ საგნებს გულისხმობს, რომლებიც გერმანულ და გერმანულენოვან უნივერსიტეტებში ისწავლება (ილუსტრაცია 1. 1). ამის საპირისპიროდ „არქეოლოგიის“ ცნებით აღვნიშნავ მეცნიერებას, რომელიც გარკვეულ წილად „ცალკეული არქეოლოგიების“ „ჯამს“ წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა გარდასული კულტურების მატერიალურ ნაშთებს სწავლობს და ამ თვალსაზრისით სამყაროს წარსულის შეცნობაში საკუთარი წვლილი შეაქვს.

ტერმინ „არქეოლოგიის“ ზუსტი და მისი თავადაპირველი მნიშვნელობა ულრიხ ზინმა (2000, 11) ერთ კარგად დასამახსოვრებელ მაგალითზე განიხილა: ის მკითხველს მოუთხრობს ანტიკურ პერიოდში უცნობი ავტორის მიერ დაწერილ ფიქტიურ დიალოგზე, რომელიც სოკრატესა და სწავლულ ჰიპიასს შორის იმართება. ჰიპიასი დადის ქალაქ-ქალაქ და საზოგადოების წინაშე წაკითხული სხვადასხვა შინაარსის მოხსენებებით მოიპოვებს საარსებო წყაროს. სოკრატეს აზრით, მსმენელთა დიდ ყურადღებას იმსახურებს: ასტრონომია, გეომეტრია, პოეზია და მუსიკა. ჰიპიასი არ იზიარებს სოკრატეს შეხედულებას და განუმარტავს, რომ მსმენელთა უდიდეს ყურადღებას მაშინ მოიპოვებს, როცა მათ უძველესი დროის გმირების, უძველესი ადამიანებისა და მათი ცხოვრების შესახებ მოუთხრობს. უამბობს, როგორ უყრიდნენ ისინი საფუძველს ქალაქებს, და საერთოდ, რა ხდებოდა უძველეს

დროს. ასეთ მოხსენებებს კაცობრიობის წარსულის შესახებ ჰიპიასი აღნიშნავდა ტერმინით αρχηαιολογια.

ზინისათვის ეს დიალოგი შემდეგი რიტორიკული კითხვის საფძველი ხდება: უნდა განვიხილოთ თუ არა ჰიპიასი, როგორც კლასიკური არქეოლოგიის ფუძემდებელი და იწყება თუ არა არქეოლოგიის, როგორც საგნის, ისტორია ანტიკურ ხანაში? ამ კითხვებს უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ, რადგან არქეოლოგიებისაგან განსხვავებით ჰიპიასი თავის მოხსენებებში უძველესი წარსულის შესახებ ეყრდნობოდა თავის თანამედროვე, ზეპირსიტყვიერ მითოლოგიურ ისტორიებს, რომლებშიც ზეპირსიტყვიერი მოგონებები დაზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილება მჭიდრო შინაგან კავშირში იყო ერთმანეთთან. თუმცა, უნდა დავეთანხმოთ ზინის შეხედულებას იმის შესახებ, რომ კითხვები, რომლებიც ჰიპიასის მოხსენებებს ედო საფუძვლად, არქეოლოგებსაც აინტერესებთ.

ასე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცნება „არქეოლოგია“ ანტიკურ ხანაში უკვე არსებობდა და მოიაზრებდა „მოძღვრებას, რომელიც სამყაროს საწყისსა და უძველეს ამბებზე“ მოგვითხრობს. ანტიკური შეხედულების საპირისპიროდ „არქეოლოგიის“ თანამედროვე მნიშვნელობა, რომელიც XVIII საუკუნის მიწურულიდან და XIX საუკუნიდან მომდინარეობს, გარდასული კულტურების მატერიალური მემკვიდრეობის შესწავლით შემოიფარგლა. ეს პრიორიტეტი დღევანდელი კლასიკური არქეოლოგიისათვის რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს, მაინც უდავოა, რომ არქეოლოგია თავის ადრინდელ ფაზაში მხოლოდ ამით არ ამოიწურებოდა. კლასიკური არქეოლოგიის სპეციალისტი ერნსტ ბუშორი(1969, 3) საფუძვლიანად განიხილავს „კაცობრიობის ისტორიის თვალით აღსაქმელ ნაწილს“ და აღნიშნავს, რომ „არქეოლოგიის არსზე“ საუბარი სხვა არაფერია, თუ არა „საუბარი ისტორიის არსზე“.

თვალსაჩინოა, რომ იმ კომპლექსურ მოვლენას, რომელსაც დღეს ჩვენ „არქეოლოგიას“ ვუწოდებთ, მის ანტიკურ მნიშვნელობასთან მხოლოდ სახელწოდებაღა აქვს საერთო. მიუხედავად იმისა, რომ არქეოლოგიის საწყის მეცნიერულ ფაზაში ეს მნიშვნელობა ჯერ კიდევ შემორჩენილია, იმ პერიოდში აღმოცენებული ნერგი დროთა განმავლობაში ძლიერ ხედ გადაიქცა, რომლის კენწერო მრავალ ძლიერ ტოტს ეფუძნება. არქეოლოგიის სახით საქმე გვაქვს მეცნიერებასთან, რომელსაც ერთი შეხედვით შესაძლოა „არქეოლოგია“ ეწოდოს, სინამდვილეში კი მთელი რიგი დამოუკიდებელი დარგებისაგან შედგება. არქეოლოგიის დღევანდელი მდგომარეობა განპირობებულია მისი ინსტიტუციური დანაწევრებით, მიუხედავად იმისა, რომ ის უკვე XVIII საუკუნეში იწყებს განვითარებას და მისი ფესვები თვით რენესანსის ეპოქამდეც კი აღწევს. ამ განსხვავებული არქეოლოგიური დარგების დამოუკიდებლობა მხოლოდ თითოეული მათგანის სპეციფიკური შინაარსობრივი განსაზღვრიდან გამომდინარეობს.

ჩვენთვის საინტერესო პრობლემატიკა გერმანულენოვან არქეოლოგიაში, უფრო სწორად კი ცალკეულ არქეოლოგიურ დარგებში, დაუმუშავებელი დარჩა. გამონაკლისს წარმოადგენს პრეის-

ტორიკოსის, ჰერმან მიულერ-კარპეს მონუმენური ნაწარმოები, რომელიც მნიშვნელოვანწილად სპეციფიურ უნივერსალურ-ისტორიულ კონცეფციას ეყრდნობა და რომელსაც ის *უნივერსალურ პრეისტორიოგრაფიას* უწოდებს (მიულერ-კარპე 1974, V).[2] ამ კონტექსტში მეცნიერმა მიზნად დაისახა არქეოლოგიისზოგად არქეოლოგიად და სხვადასხვა *რეგიონალურ* ან *ცალკეულ არქეოლოგიებად* დიფერენცირება (იგივე 1981, 281; 282). მეცნიერს მიაჩნია, რომ ეს უკანასკნელნი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი იმ „ისტორიულ პერიოდებთან და კულტურულ სფეროებთან“, რომლებიც ჩვენს ცნობიერებაში ლიტერატურული თქმულებების საფუძველზე შემოვიდნენ როგორც „ისტორიული ერთეულები“.[3] მისი შეხედულება ვრცელდება როგორც ეგვიპტეზე, მესოპოტამიაზე, ჩინეთზე, ინდოეთსა და მექსიკაზე, ასევე ბერძნულ-რომაულ და ადრეული შუასაუკუნეების ძველგერმანულ სამყაროზეც. თითოეული მათგანში მიმდინარეობდა რეგიონალური პრეისტორიული და ადრეისტორიული კვლევა „კონკრეტული ენობრივი მონაკვეთის არქეოლოგიის“ მნიშვნელობით. (იგივე1980, 5).

ამ ერთი რომელიმე კონკრეტული „ენობრივი“ ან „ისტორიული მონაკვეთისათვის“ სპეციფიკური არქეოლოგიებისაგან განსხვავებით, მიულერ-კარპეს შეხედულებით, „ზოგადი“ ანუ „ფუნდამენტური“ არქეოლოგიის „თვალსაზიერში მთელი კაცობრიობა“ ექცევა (1985, 5). მიულერ-კარპე „ზოგადი“ ანუ „ფუნდამენტური“ არქეოლოგიის ცნებას „უნივერსალური ისტორიის“ კორელატად მოიაზრებს (იგივე1981, 282).

მიულერ-კარპე კატეგორიულ უარს აცხადებს გავრცელებულ ისტორიულ-ფილოსოფიური სახის სპეკულაციურ მონახაზებსა და ისტორიულ-თეორიულ წინასწარ დასკვნებზე. ამიტომაც, მას უნივერსალური ისტორიის შეცნობის გზაზე მხოლოდ ე. წ. „ისტორიის მეცნიერული კვლევის მიზანიღა“ რჩება. ეს კი იგივეა, რაც წყაროებზე მკაცრად ორიენტირებული „პოზიტიური“ კვლევის საწყისი. ზუსტად ამ მნიშვნელობით ქმნის მისთვის „ზოგადი არქეიოლოგია“ „მეცნიერულ-თეორიულ და მეცნიერულ-პრაგმატულ საფუძველს, რათა ადრეული უნივერსალური ისტორია ემპირიულ-ისტორიულ მეცნიერებად მოვიაზროთ (იქვე, 283).

ჩემი ნაშრომის ფარგლებში საჭიროდ არ მიმაჩნია მიულერ-კარპეს სრული კონცეფციის უფრო ფართოდ განხილვა და იმ მიზეზების ძიება, რომელთა გამოც მისი შეხედულება პრეისტორიისა და ადრეისტორიის მეცნიერებებში ფაქტობრივად უყურადღებოდ დარჩა (ამის შესახებ იხილე ეგერტი 2001, 28ff.). განსაკუთრებით მსურს ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ ჩემ მიერ გამოყენებული ტერმინი „არქეოლოგია“ არც ერთი თვალსაზრისით არ ეთანხმება მიულერ-კარპეს შეხედულებას ზოგადი არქეოლოგიის შესახებ. ტერმინის ჩემეული გაგება მთლიანად ეწინააღმდეგება მიულერ-კარპეს პოზიციას, რადგან ის არც „დედამიწის ყველა სფეროს ნაშთების ერთიანობას“ და არც „უნივერსალური კაცობრიობის“ აბსტრაქტულობას არ მიემართება (მიულერ-კარპე 1981, 182, 183). სხვათა შორის, მიულერ-კარპეს „რეგიონალური და ქრონოლოგი-

2. ამის შესახებ იხილე აგრეთვე ეგერტი 2001, 25ff.

3. ვითვალისწინებ რა ე. სტანდოპის(1990, 44)რჩევას, ზედსართავ და არსებით სახელებს წინამდებარე წიგნში ვიყენებ არა იმ ბრუნვის ფორმებით, რომლებშიც ისინი ორიგინალურ ტექსტში გვხვდება, არამედ იმ ბრუნვებში, რომლებსაც კონკრეტული კონტექსტი მოითხოვს. ზედსართავი და არსებითი სახელების ბრუნვის ნიშნების შეცვლის შემთხვევებს განსაკუთრებით აღარ აღვნიშნავ. გარდა ამისა, ზედსართავი სახელების, კავშირებისა და ნაწილაკების საწყისი დიდი და პატარა ასოებით დაწერილობის შემთხვევებს ვიყენებ ორიგინალური ტექსტისაგან განსხვავებით და იმ შესაბამისი ფორმით, რომელსაც ციტატა მოითხოვს. ასევე განსაკუთრებული შენიშვნების გარეშე გასწორდა მართლწერასთან და სასვენ ნიშნებთან დაკავშირებული შეცდომები.

ური ცალკეული არქეოლოგიები“ ესმის როგორც თავისი „ზოგადი არქეოლოგიის“ „განსაკუთრებული დისციპლინები“ მაშინ, როდესაც ის არ აღიარებს თავის „ზოგად არქეოლოგიას“, როგორც „ცალკეული არქეოლოგიების ჯამს“ (იქვე. 282).

მიულერ-კარპეს მოსაზრებებს ყველაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ის ფაქტი, რომ ის ყოველთვის დაბეჯითებით მიუთითებდა რეგიონალური და ცალკეული არქეოლოგიების არსებობაზე. დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ყოველთვის უკავშირებდა თუ არა ის რეგიონალური და ცალკეული არქეოლოგიების არსებობას ისტორიულ და ენობრივ მონაკვეთებს. მიულერ-კარპეს მიხედვით კითხვა იმის შესახებ, გახდება თუ არა დედამიწის სხვადასხვა რეგიონის პრეისტორია და ადრინდელი ისტორია ხანგრძლივი არქეოლოგიური კვლევის საგანი „ცალკეული არქეოლოგიის“ მნიშვნელობით, მხოლოდ კვლევის ინტერესისა და ინტენსივობის საკითხია.

წინამდებარე ნაშრომში არ არის განხილული მთელი რიგი იმ ცალკეული არქეოლოგიური დარგებისა, რომლებსაც მიულერ-კარპე ასახელებს. ამ ფაქტმა არ უნდა გაგვაკვირვოს, რადგან ჩემ ნაშრომში არ არის გათვალისწინებული არც ცალკეული შემთხვევები და არც განსაკუთრებული საგნობრივი დიფერენციაცია. ასე მაგალითად, ბონის ფრიდრიხ ვილჰელმის სახელობის უნივრსიტეტის ძველი ამერიკანოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ძველი ამერიკანოლოგიის ფარგლებში იკითხება ლექციები შუა და სამხრეთ ამერიკის არქეოლოგიის შესახებაც. ამასთან ერთად, ამ ინსტიტუტის წევრები ნახევარკუნძულ იუკატანზე ახორციელებენ მაიას ტომების კულტურის არქეოლოგიური კვლევის პროექტს. მიუხედავად ამისა, ეს არ შეესაბამება ცალკეულ არქეოლოგიურ საგანს. ანალოგიურის თქმა სხვა უნივერსიტეტებზეც შეიძლება, რაც ჩემს პოზიციას კიდევ უფრო გაამყარებდა.

ზოგ მკითხველს, ალბათ, გააკვირვებს ის ფაქტი, რომ ჩემ ნაშრომში არ არის წარმოდგენილი ეგვიპტოლოგია. ეგვიპტის არქეოლოგია რეგიონალური სპეციალობის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, არსებობს. თუმცა, ეს ფაქტი არ ცვლის იმ გარემოებას, რომ ეგვიპტოლოგია, როგორც საუნივერსიტეტო საგანი, თავისი არსის მიხედვით ფილოლოგიური მეცნიერებაა.

რამდენიმე წლის წინ ჰერმან ბერენსმა (1997) ცხადი გახადა იმ მოვლენის შინაარსობრივი მრავალმხრივობა, რაც დღეს ტერმინ „არქეოლოგიას“ ასეთ დიდ სახელს უქმნის. მან გამოაქვეყნა დროთა განმავლობაში მოგროვებული კვლევის მიმართულებებისა და კვლევის ინტერესების 96 დასახელება, რომლებიც ამ ტერმინს იყენებდნენ. ეს სახელწოდებები ახასიათებენ ერთი მხრივ ე. წ. „არქეოლოგიური“ კვლევის საგანს და მეორე მხრივ კი არქეოლოგიური კვლევის ადგილს. იმ სახელწოდებებიდან, რომლებსაც ბერენსის სია შეიცავს, ზოგ დასახელებას, მაგალითად, „ნონსენსის არქეოლოგია“, „ოპერების არქეოლოგია“, „სექსუალიზმის პაულინური გაგების არქეოლოგია“, „შექსპირის არქეოლოგია“, არაფერი აქვს საერთო ჩვენ მიერ განსახილველი არქეოლოგიის გაგებასთან. დიდი ნაწილი კი ამ დასახელებებისა ტრადიციული

არქეოლოგიური კვლევითი სამუშაოების დანაწევრებიდან წარმოიქმნება. ასეთებია მაგალითად, „მრგვალი საგნების არქეოლოგია“ (რომელშიც უმეტესწილად მიწაში მოპოვებული ნეოლითური პერიოდის მრგვალი საგნები იგულისხმება), „სამთო-სამთამადნო მრეწველობის არქეოლოგია“, „ტენიანი ნიადაგის არქეოლოგია“, „მთების არქეოლოგია“, „კუნძულების არქეოლოგია“ და „გარემოს არქეოლოგია“.

მიუხედავად იმისა, რომ ბერენსის სიას და მის კითხვას „გვჭირდება თუ არა გერმანიაში ასზე მეტი არქეოლოგია?“ სერიოზულად არ აღვიქვამთ და ამით ავტორის საქმის ასეთი ვითარებისადმი სკეპტიკურ დამოკიდებულებას ჩვენც ვიზიარებთ, მისი ჩამონათავლიდან ნაკლებად მნიშვნელოვანი დასახელებების ამოღების შემდეგ თვალწინ წარმოგვიდგება არქეოლოგიური კვლევის მრავალმხრივობის თვალსაჩინო სურათი.

სხვა თვალსაზრისით ბერენსის სიას ჩემი მიზნის განხორციელებაში წვლილი არ შეუტანია. ყველა მის მიერ ჩამოთვლილი არქეოლოგიური კვლევის სახეობა ჩემ მიერ განხილული ცალკეული არქეოლოგიური საგნების შინაარსობრივ-მეთოდოლოგიური სპექტრის მსგავსია.

ბერენსის სიაში ჩანს ტერმინ არქეოლოგიის არაჩვეულებრივი პოპულარობა თვით იმ კვლევის სფეროებშიც კი, რომლებსაც ჩემი კვლევისა და ინტერესის საგნად ქცეულ არქეოლოგიასთან არაფერი აქვს საერთო, თუ არ ჩავთვლით იმ ფაქტს, რომ ისინიც ჩემთვის საინტერესო არქეოლოგიის მსგავსად საწყისებსა და სიძველეებს ეძებენ. როგორც ახლად გამოცემული კლასიკური არქეოლოგიის შესავლის ავტორები ადგენენ (ბორბეინი და სხვები 2000ბ, 7), არქეოლოგიას ახასიათებს „კონიუნქტურა“. ყველაზე მეტად დაზარალებული კი თვით ტერმინია. თანდათან ის ამოსაცნობ სიტყვად მკვიდრდება თვით მეცნიერების ისეთი დარგებისათვისაც კი, რომლებშიც ის აქამდე საერთოდ არ გამოიყენებოდა.

იმისათვის, რომ ყოველგვარი მოსალოდნელი გაუგებრობა თავიდან ავიცილო, მსურს აქვე მოკლედ შევეხო წინამდებარე წიგნში განხილული ცალკეული არქეოლოგიური საგნების თანმიმდევრობას. ჩემ მიერ ამორჩეულ საგანთა მიმდევრობას საფუძვლად უდევს კვლევის საგნის სიძველე. შესაბამისად გამოკვლევას ვიწყებ პრეისტორიული არქეოლოგიით და ვამთავრებ შუასაუკუნეების არქეოლოგიით.

3. საგნები და დისციპლინები

ჩემს წინა მიმოხილვებში ხშირად გამოიყენებოდა სიტყვათშეთანხმება „ცალკეული საგანი“, როდესაც საქმე, როგორც მიულერ-კარპე იტყოდა, „ცალკეულ არქეოლოგიებს“ შეეხებოდა. ის არქეოლოგიურ „ცალკეულ საგნებს“ თავისი ზოგადი არქეოლოგიის „განსაკუთრებულ დისციპლინებს“ უწოდებდა. როგორი დამოკიდებულებაც არ უნდა გვქონდეს ამ ტერმინებთან და

ზოგადად ტერმინოლოგიურ საკითხებთან, ყველაფრის კარგად აწონ-დაწონვა ურიგო არ იქნებოდა. ჩემი შემდგომი მიმოხილვების მიზანია საყოველთაოდ გავრცელებული ტერმინების: „საგანი“ და „დისციპლინა“ გამოყენების განხილვა და საჭიროების მიხედვით დაწვრილებითი აღწერაც კი.

ორივე ტერმინი ძირითადად სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება და მათ ხშირად ენობრივი მრავალფეროვნების მისაღწევად ვხმარობთ. მათ შორის უპირატესობას რომელს მივანიჭებთ, როგორც ირკვევა, პირად სურვილზეა დამოკიდებული. ჩემი აზრით, პირველად ამ საკითხზე არქეოლოგიურ კონტექსტში ყურადღება ულრიხ ვაიტმა (Veit) გაამახვილა (2001ა). მისი რწმენით, პრეისტორიული და ადრეისტორიული მეცნიერების საგნისათვის სპეციფიური პროფილის წარმოქმნამ მიგვიყვანა საგნის კულტურის სხვა მეცნიერებებისაგან ჩამოშორებამდე, რამაც „დისციპლინის ძალიან ვიწრო გაგებას“ ჩაუყარა საფუძველი. ამ კონტექსტში ის მიუთითებს ჰაინც ჰეკჰაუზენზე (1987), რომელმაც „დისციპლინალურობისა“ და „ინტერდისციპლინალურობის“ პრობლემა გამოიკვლია.

ჰეკჰაუზენის მიხედვით (1987, 135), ჰუმანიტარული მეცნიერებები ვიწრო გაგებით, მიუხედავად მათი „მატერიალური ველის“, ე. ი. , მათი უშუალო შემეცნების სფეროების სხვადასხვაობისა, მეთოდოლოგიურ საფეხურზე მაინც საერთო ნიშან-თვისებებით ხასიათდება. მაგალითად, მკვლევარი ისტორიას, რომანისტიკასა და ფოლკლორს ასახელებს. ჰეკჰაუზენის მიხედვით, თითოეული მათგანი მეტად თუ ნაკლებად იყენებს ჰერმენევტიკულ მეთოდებს, რათა თითოეული საგნისათვის სპეციფიური წყაროების „იმანენტური მნიშვნელობა“ ამოიკითხოს და მოახდინოს მათი რეკონსტრუქცია. ეს საფეხური, ან როგორც ის თვითონ უწოდებს, „თეორიული ინტეგრაციის დონე“, შეესატყვისება მის „დისციპლინარულობის“ კონცეფციას. ამ განსაზღვრებას თუ დავეთანხმებით, უნდა ვაღიარით, რომ არსებობს „ათასობით საგანი“, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე, დაახლოებით, ოცი-ოცდაათი დისციპლინა (იქვე, 130) „დისციპლინარულობის“ მნიშვნელობით. სხვადასხვა შემთხვევებში საგნები შესაძლებელია სხვადასხვა დისციპლინას მიეკუთვნებოდნენ. მაგალითად, მეცნიერი ასახელებს ბიოლოგიას, თავის ზოგიერთ საგანთან ერთად, რომელიც ერთის მხრივ მოლეკულური და არამოლეკულური კვლევის მიმართულებას, და მეორეს მხრივ კი, ყველა განსაკუთრებული ინტეგრაციის საფრხურთან ერთად, შედარებით ეთოლოგიას მიეკუთვნება.

ჰეკჰაუზენის დისციპლინარულობის კონცეფცია, როგორც ის თავადაც აღიარებს (იქვე1987, 131), ძალიან გვაგონებს ტომას ს. კუნის (1970, 182) „პარადიგმის“ ან „დისციპლინარული მატრიცას“[4] კონცეფციას. ამჯერად არ განვიხილავ რამდენად განსხვავდება ჰეკჰაუზენი ტომას კუნისაგან ამ საკითხში. ჩვენთვის საინტერესო დიფერენციაცია „საგანსა“ და „დისციპლინას“ შორის საერთო ჯამში მიზანშეწონილია, რადგან მას საგანთა სტრუქტურულ განხილვასა და შესაბამის შინაარსობრივ დაჯგუფებაში საკუთარი

4. „დისციპლინარული მატრიცას“ კონცეფციის შესახებ იხილე ქვემოთ. გვ. 198 ff

წვლილის შეტანა შეუძლია. როგორც ყველა კლასიფიკაციის დროს, ამჯერადაც ამ ტერმინების გამოყენებამ შესაძლოა გადაკვეთისა და გამიჯვნის პრობლემები წარმოშვას.

ჰეკჰაუზენის მოსაზრებებმა ვაიტს (2001ა, 86) საფუძველი მისცა, რომ პრეისტორიული და ადრეისტორიული მეცნიერება უფრო საგნად გაეგო, ვიდრე დისციპლინად. მისი შეხედულებით, ამ გზით შესაძლებელია ბოლო ორი ასწლეულის მანძილზე კულტუროლოგიის მიერ მოპოვებული ცოდნის ფონდის ათვისება. მიუხედავად იმისა, რომ გაუგებარია, რატომ უნდა იყოს ასეთი ათვისება დისციპლინარული წევრობის საკითხთან დაკავშირებული, პრეისტორიული და ადრეისტორიული მეცნიერების საგნად, და არა დისციპლინად, გაგება მაინც მიზანშეწონილად მიმაჩნია. სხვა საკითხია, გვსურს თუ არა დავეთანხმოთ ამ საგნის სხვა კულტურის შემსწავლელ მეცნიერებებთან უშუალო დისციპლინარულ კავშირამდე მიყვანის მოსაზრებას, რომელიც სხვათა შორის, მხოლოდ ზედაპირულად იქნა გამოთქმული. მე თვითონ კი უპირველეს ყოვლისა უფრო სხვა ცალკეულ არქეოლოგიურ საგნებზე ვიფიქრებდი. მიუხედავად იმისა, რომ სხვა ცალკეული არქეოლოგიური საგნებისთვისაც მხოლოდ „საგნის“ სტატუსის მინიჭებაა შესაძლებელი, მაინც უნდა დავფიქრდეთ, შეგვიძლია თუ არა, რომ არქეოლოგიებს „დისციპლინის“ სტატუსი მივანიჭოთ. ამისათვის კი აუცილებელი პირობა იქნებოდა კულტურულოგიურ-მეცნიერული ორიენტაციისაკენ ექსპლიციტური შემობრუნება, კერძოდ კი იმ კონცეფტის მნიშვნელობით, რაც ამ წიგნში „კულტურულოგიურ-ისტორიული მეცნიერებით“ აღინიშნება.

II არქეოლოგია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1. ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

XIX საუკუნის შუა ხანებიდან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გავლენა საზოგადოებაზე უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ერთი მხრივ, ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში სისტემური ექსპერიმენტები, და მეორე მხრივ, ამ ექსპერიმენტების შედეგად მოპოვებული ცოდნის განვითარებული ქვეყნების ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვა, მილიონობით ადამიანის არსებობაზე ღრმა ზეგავლენას ახდენდა და ეს ზეგავლენა სულ უფრო იზრდებოდა. ცოცხალი და უსულო სამყაროს ტექნიკურ-რაციონალური შესწავლისა და მისი მართვის მცდელობის შედეგად XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა სამყაროს განვითარების ევოლუციური მოძღვრება და პროგრესის ღრმა რწმენა გაჩნდა.[1] აქედან გამომდინარე, საბოლოოდ განმტკიცდა შეხედულება ადამიანზე, როგორც გამჭრიახსა და კულტურის შემქმნელ არსებაზე. ეს მოსაზრება ფართოდ გავრცელდა მე-19 საუკუნის დასასრულისათვის ჩამოყალიბების გზაზე მყოფ ეთნოლოგიაში, ხოლო პრეისტორიულ არქეოლოგიაზე გაცილებით ნაკლები გავლენა მოახდიანა.[2] ულრიხ ვაიტი (1001 ა, 81) სამართლიანად დაასკვნის, რომ პრეისტორიისა და ადრეისტორიის საგნის ჩამოყალიბებისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა, ისტორიის ისეთი ჰიპოტეზური კონცეფციებისაგან დისტანცირებას, როგორიც იყო არქეოლოგიურ მტკიცებულებებზე დაფუძნებული ევოლუციონიზმი. ასეთ გამიჯვნაში ავტორი ხედავს საგნის კოგნიტიური იდენტიტურობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ნაწილს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში პოზიტივიზმი, რომელსაც საფუძველი ავგუსტ კომტესმა (August Comtes -1798-1857) ჩაუყარა, მეცნიერებაში დომინანტურ მიდგომა იყო. მისი ზეგავლენით სამეცნიერო კვლევა-ძიება მხოლოდ „ძირითადით“, ფაქტიურად მოცემულით და გამოცდილებისა და დაკვირვების შედეგად შესაცნობით შემოიფარგლებოდა. ის რაოდენობის განსაზღვრაზე იყო ორიენტირებული და ე. წ. ზუსტ მეცნიერებებში არაჩვეულებრივი წარმატებების საფუძველი გახდა. ეს წარმატებები კი თავის მხრივ, ექსპერიმენტულ-ემპირიული მეთოდის აბსოლუტური ხარისხის დამამტკიცებელ საბუთად გამოიყენებოდა. შედეგად საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს „წამყვანი მეცნიერების“ სტატუსი მიენიჭა.

აღმავლობის პარალელურად საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართ ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი დამოკიდებულება არსებობდა იმ საგნების მხრიდან, რომელთაც „ბუნებისა“ და „სულის“ დუალიზმი უდევს საფუძვლად და განსხვავებული კვლევის საგანი, თეორია და მეთოდი აქვთ. ამ საგნებს ფილოსო-

1. ამასთან დაკავშირებით იხილე მიულმანი 1968, 85ff.)

2. მიუხედავად იმისა, რომ ო. მონტელიუს ე. წ. „ტიპოლოგიური მეთოდი“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ევოლუციური მოძღვრებით, იყო ინსპირირებული, ეს შეხედულება მაინც მართებულია (ამის შესახებ იხილე ეგერტი 2001, 181ff.)

ფიურ-ისტორიულ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს უწოდებენ. მოგვიანებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართ ასეთ დამოკიდებულებას სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა.[3] იოჰან გუსტავ დროიზენის (1808-1884) მიერ *ისტორიის ენციკლოპედიისა და მეთოდოლოგიის* შესახებ წაკითხული ლექციების, მოგვიანებით კი, *ისტორიკის* სათაურით გამოქვეყნებული ნაშრომის (დროიზენი 1967; 1977) ზეგავლენით ვილჰელმ დილთეიმ ხელი მიჰყო „ჰუმანიტარული მეცნიერებების" შეცნობის სტრუქტურის კვლევას. მან პირველმა შემოიტანა ტერმინი „ჰუმანიტარული მეცნიერებები". (დილთეი, 883): მანფრედ რიდელის (1995, 727) ფორმულირების თანახმად, დილთეიმ საფუძველი ჩაუყარა „ჰერმენოიტიკულ გარდატეხას უახლეს ფილოსოფიაში"..

ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს შორის შემდგომი დიფერენციაცია მოახდინეს ნეოკანტიანიზმის „სამხრეთ-დასავლურ გერმანული სკოლის" მიმდევრებმა, ვილჰელმ ვინდელბანდმა (1848-1915), და პირველ ყოვლისა, მისმა მოსწავლემ, ჰაინრიხ რიკერტმა (1863-1936). მათ ეს სხვაობა განსაზღვრეს, როგორც დუალიზმი „კანონსა" და „მოვლენათა მეცნიერებებს" შორის. თითოეულ მათგანს ვინდელბანდმა 1894 წელს სტრასბურგში წარმოთქმულ მოხსენებაში „ნომოტეტიური" (კანონთა შემქმნელი) ან „იდიოგრაფიული" (ცალკეულის აღმწერელი) მეთოდი მიუსადაგა.. სწორედ ამის შემდეგ რიკერტმა (1899; 1902) შექმნა ნაშრომი, რომელშიც მან ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, კულტურის მეცნიერებები უწოდა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს დაუპირისპირა. რიკერტის ნაშრომში აღწერილი იდეები XX საუკუნის პირველ მეოთხედამდე ინტენსიურად ვრცელდებოდა.[4]

ასე რომ, დაპირისპირებას ხანგრძლივი მეცნიერულ-ისტორიული ტრადიცია აქვს და მართალია, სახეცვლილი ფორმით, მაგრამ არსებობას დღესაც განაგრძობს. ამ თვალსაზრისით 1959 წელს კემბრიჯში ჩარლზ პერსი სნოუს (Charles Percy Snow) მიერ წაკითხული მოხსენება სათაურით: „ორი კულტურა და სამეცნიერო რევოლუცია" (*The Two Cultures and the Scientific Revolution*) გამორჩეულად მნიშვნელოვანი იყო. ამ მოხსენებას XX საუკუნის 60-იან წლებში უჩვეულოდ ფართო გამოხმაურება ჰქონდა (სნოუ 1959; 1964).[5] სნოუს რიტორიკული ჰიპერბოლიზაცია ჰუმანიტარული მეცნიერებების ხარჯზე დღესდღეობით, ყოველ შემთხვევაში ასე მიიჩნევს იურგენ მითელშტრასი (1991, 25), აღიქმება როგორც „ორი კულტურის მითოსი" და მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით არის საინტერესო.[6] ამის შესახებ შესაძლოა განსხვავებული მოსაზრება გვქონდეს. სნოუმ ინგლისში, საყოველთაო „ინტელექტუალური" შეგნება აღმოაჩინა, რომელიც საბუნებისმეტყველო და მის მონათესავე მეცნიერებებს სათანადოდ ვერ აფასებდა. ამ ფაქტს მისი რწმენით, ფატალურ შედეგებამდე მივყავართ. მისი შეხედულებით, საბუნებისმეტყველო-ტექნიკური შესაძლებლობები სათანადოდ არ გამოიყენება განვითარებად ქვეყნებში ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად.[7]

სნოუს ყურადღებას იპყრობდა არა შემეცნებით-თეორიული

3. მითელ შტრასის ლაპიდარულ გამონათქვამში (1991, 28): „რაც ბუნება არ არის, სულია".

4. ეს ცხადი ხდება რიკერტის 1899 წლის ნაშრომით, რომელიც განვრცობილი სახით 1926 წლამდე შვიდჯერ გამოქვეყნდა. მისი 1902 წლის დიდი მონოგრაფია 1929 წელს მეხუთედ და უკანასკნელად გამოიცა.

5. ორივე გამოცემის გერმანული თარგმანი უამრავ თვალსაზრისთან ერთად მოცემულია კროიცერთან 1987.

6. კოლინი 1993.

7. სნოუს და მისი კემბრიჯის მოხსენების ზოგადი და სპეციფიური კონტექსტის შესახებ იხილე ს. კოლინის (1993) ბრწყინვალე შესავალი.

საკითხები, არამედ განსხვავებული მეცნიერებების ურთიერთაღქმა. ამასთან მისი მოსაზრებით საბუნებისმეტყველო დარგების მეცნიერები (*scientist*) მორალური თვალსაზრისით გაცილებით მაღალ საფეხურზე დგანან, ვიდრე მწიგნობარი ინტელექტუალები (*literary intellectual)*, რომლებსაც ის „ჰუმანიტარებს" უწოდებს. მიუხედავად ყოველგვარი დისტანციისა და ცვლილებებისა, აქ ცხადად თავს იჩენს დილთეის საწყისთან „შეფარული" კავშირი, რომელიც სნოუს მხედველობაში არ მიუღია და არც მის მიმართ ინტერესი გამოუჩენია.

თუ სნოუს მოხსენების ამოსავალ სიტუაციასა და მიზანთან ერთად მის ფილოსოფიურ-ისტორიულ კონტექსტსაც გავითვალისწინებთ, მითელშტრასის შეფასება, შესაძლოა, არც თუ სარწუნოდ მივიჩნიოთ.[9] ყოველდღიურ საუნივერსიტეტო ცხოვრებაზე ერთი თვალის გადავლებითაც კი „წინარეანალიტიკურ" საფეხურზე ხშირად შევხვდებით ორი კულტურის თეზას. გარდა ამისა მითელშტრასი (1991) თვითონვე ეთანხმება თეზას, რომლის მიხედვით ორივე მხარე კულტურის რეპრეზენტაციას ახდენს. ამასთან, მკვლევარი საფუძვლად კულტურის ფართო კონცეფტს ირჩევს, რომელიც „კულტურას", „ყოველგვარი ადამიანური შრომისა და ცხოვრებისეული ფორმების სიმბოლოდ" განსაზღვრავს და გამიჯნავს მას კულტურის გაგების ვიწრო კონცეფციისაგან, სადაც ცალცალკე განიხილება კულტურის სხვადასხვა სფეროები, მაგალითად შეიძლება დასახელდეს ტექნიკის, ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროები.[10]

ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესახებ იმ დისკუსიის კონტექსტში ვსაუბრობთ, რომელიც გერმანიაში მე-20 საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისიდან მიმდინარეობდა. ამ დისკუსიიდან ცხადი გახდა, რომ ჰუმანიტარული მეცნიერებები, ჰერმან ბაუზინგერის ტერმინს თუ გამოვიყენებთ, „ტექნიკურ სამყაროში" ძალიან რთულ ვითარებაში იმყოფებიან.[11] ისინი ტექნიკისათვის გამოუსადეგარ ცოდნას გვთავაზობენ და ეკონომიკურ სისტემაში, რომელიც სულ უფრო აგრესიულსა და აულაგმავ კაპიტალიზმს ემორჩილება, იძულებულნი არიან ზედაპირულად მაინც ამტკიცონ, რომ გარკვეული სახის პროდუქციას (ნაწარმს) წარმოადგენენ, რომელსაც სისტემის შენარჩუნება-სტაბილიზებაში თავისი წვლილის შეტანა შეუძლია. თუმცა, თუ კარგად დავაკვირდებით, სინამდვილეში პრობლემა სარგებელზე ორიენტირებული ნეოლიბერალიზმში კი არ არის, არამედ ის იმ ეპოქალურ სულშია, რომელიც დიდი ხანია ამ სინამდვილეს ანიჭებს უპირატესობას. ე. წ. „ეკონომიკური მოთხოვნები" წინააღმდეგობას არ აწყდება არა მარტო იმ მიზეზით, რომ ასეთი მოთხოვნები სინამდვილეში არსებობს, არამედ იმიტომაც, რომ პოლიტიკურ-ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის სამყარო მხოლოდ მატერიალური პერსპექტივიდან აღიქმება.

თანამედროვე ეკონომიკური სიტუაციიში რთულია ჰუმანიტარული მეცნიერებებისათვის შექმნილ საფრთხეს თავი დავაღწიოთ, მაგრამ ამჟამინდელი დისკუსიის ისტორიული პერსპექტივიდან

8. თუ ზემოთ მითელშტრასისა და კოლინის თეზის შესახებ გარკვეული ეჭვი გამოვთქვი, ეს მე-19 საუკუნის დიქოტომიასთან "შეფარული" კავშირის მიზეზით მოხდა, რომელიც, ჩემი აზრით, დისკუსიას დღესაც განსაზღვრავს.

9. სნოუს კვლევების კოლინისეული(1993) დიფერენცირებული ანალიზიდანაც ამავე დასკვნის გამოტანა შეგვიძლია. სნოუს ორი კულტურის თეზის კვლევას ეძღვნება ვ. ლეპენიეს *სამი კულტურაც* (1985), რომელიც ქვესათაურის მიხედვით „ლიტერატურასა და მეცნიერებას შორის სოციოლოგიას" აფუძნებს. ლეპენიე მისი თეზის დამოწმებას საფრანგეთის, ინგლისისა და გერმანიის სიტუაციის კვლევითისტორიული ანალიზით ცდილობს.

10. ამის შესახებ იხილე ასევე ქვემოთ (გვ. 16f) შნედელბახის დიფერენციაცია(1988).

11. დარწმუნებული ვარ, რომ ინსტიტუციონირებულ ჰუმანიტარულ მეცნიერებებს (ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს), რომლებიც თავიანთ სახელწოდებას იმსახურებენ, მხოლოდ ასეთ სამყაროში არსებობა შეუძლია. თუმცა ჩემი ტავტოლოგიური ფორმულირების დათმობა არ მსურს: ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ეს სამყარო და არა რომელიმე სხვა, იძლევა აქ აღნიშნული ნაკლოვანების შემცირების შესაძლებლობას.

განხილვა აუცილებელია. ამ თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია მიუნსტერელი ფილოსოფოსის იოახიმ რიტერის მიერ 1961 წელს წაკითხული მოხსენება (რიტერი 1963). მისი ძირითადი თეზის მიხედვით XIX საუკუნეში ჩამოყალიბების გზაზე მყოფმა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებმა შესაძლებელი გახადეს ბუნებაზე ადამიანის გაბატონება და ამით საფუძველი ჩაუყარეს ინდუსტრიულ საზოგადოებას. პარადოქსული იყო ის ფაქტი, რომ პარალელურად აღმოცენდა და დამოუკიდებელ მეცნიერებებად ჩამოყალიბდა ჰუმანიტარული მეცნიერებებიც. ამ ამოსავალი მდგომარეობის გათვალისწინებით, მართლაც ფუნდამენტურია რიტერის კითხვა — რატომ არის საჭირო ინდუსტრიულ საზოგადოებაში დღესაც არსებობდეს „კაცობრიობის ისტორიული სულიერი სამყარო", რომელიც ჰუმანიტარული მეცნიერებების ფორმითაა წარმოდგენილი.

რიტერის ანალიზი ბურჟუაზიულ-ინდუსტრიულ საზოგადოებასა და მის ისტორიულ წარმომავლობას შორის პირველად გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის (1770-1831) მიერ შემჩნეულ განხეთქილებას ეყრდნობა: წარსულისა და აწმყოს დამაკავშირებელი ხიდი ჩატეხილია, ინდუსტრიული საზოგადოების კავშირი მის წარმომშობ სამყაროსთან გაწყვეტილი — თანამედროვე საზოგადოებას წარსული არ გააჩნია.[12] ის თავისი უწარსულობის მაკომპენსირებელ საშუალებას ეძებს. რომ არა ეს შესაძლებლობა, თანამედროვე საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე წარსული მისი ცნობიერებიდან საერთოდ გაქრებოდა.

1963 წელს ეს შეხედულება რიტერმა გერმანული უნივერსიტეტების სახალხო უნივერსიტეტებად გადაქცევის კონტექსტში ცხადად ჩამოაყალიბა. ეს მოვლენა შესამჩნევი სამოციანი წლების დასაწყისიდან გახდა. რიტერის რწმენით, თანამედროვე საზოგადოება, რომელსაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებმა ღრმა კვალი დაამჩნია, მხოლოდ მაშინ გადარჩება, თუ მას ჰუმანიტარული მეცნიერებები მხარში ამოუდგება, რადგან მხოლოდ მათ ძალუძთ ინდუსტრიული საზოგადოების ადამიანს სიცოცხლისათვის საჭირო ორიენტაცია შესთავაზონ.

ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან სულ უფრო იზრდებოდა იმ სტუდენტთა რიცხვი, რომლებიც არაჰუმანიტარულ საგნებს ირჩევდნენ, რაც იმის საშიშროებას ქმნიდა, რომ ეს ფაქტი ჰუმანიტარულ საგნებზე ნეგატიურ გავლენას იქონიებდა. ასეთ სიტუაციაში რიტერის ძირითადმა თეზამ მნიშვნელოვან დიაგნოზამდე მიგვიყვანა. იგი პრაქტიკული გაგებით „გამოუსადეგარი" მეცნიერებების მნიშვნელობას ხაზგასმით აღნიშნავდა. ამით საფუძველი ჩაეყარა ჰუმანიტარული მეცნიერებების „მაკომპენსირებელ ფუნქციას", რომელიც ფილოსოფოსებმა ჰერმან ლიუბემ და ოდო მარკარდმა სამოციან წლებში ჩამოაყალიბეს.

ლიუბემ ამ კონტექსტში 1982 წელს ცივილიზაციურ-ტექნიკური წინსვლისა და „ჩვენი კულტურული გარემოს" „მოძველების" შესახებ პატარა პუბლიკაცია წარმოადგინა (ლიუბე, 1982, 1). ნაშრომში მკვლევარი ერთი მხრივ ჩვენი ცხოვრების სტილის სულ ურფო სწრაფად მიმდინარე სტრუქტურულ ცვლილებასა და მასთან

12. „[თანამედროვე საზოგდოების] ცივილიზაციის გავრცელების შედეგად დედამინის ზურგზე ყველგან მსგავსი ქალაქები აღმოცენდა, სადაც სამუშაოები და ცხოვრება, კომუნიკაციისა და განათლების ფორმები იდენტურია. თვალნათლივ ჩანს, რომ საზოგადოების წარსულთან კავშირი გაწყვეტილია" (რიტერი 1963, 26).

მჭიდრო კავშირში მყოფი კულტურული მონაპოვრის „დაძველებას“ უსვამს ხაზს, მეორე მხრივ კი ისტორიულად ჩამოყალიბებული ურთიერთობების ხელყოფასა და მასთან დაკავშირებულ გარდასული დროის კულტურული მემკვიდრეობის განადგურებაზე მიუთითებს. დღესდღეობით ჯერ კიდევ ყველგან და ყველაფერში შესამჩნევი მოძველების პროცესი სინამდვილეში ჩვენი დროისათვის დამახასიათებელ ძირითად თვისებას წარმოადგენს. ასე ვცდილობთ, ლიუბეს მიხედვით, იმ სამყაროსგან სულ უფრო მზარდი გაუცხოვების კომპენსაციას, რომელმაც ჩვენს ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

ერთ-ერთ სხვა ნაშრომში კი ლიუბე (1987) „ჩვენი კულტურის გამეცნიერების“ (იქვე, 18) შედეგებს იკვლევდა. მისი მოსაზრებით საქმე სულ უფრო სწრაფად მიმდინარე პროცესს ეხება, რომელსაც ცხოვრებისეული სამყაროს დონეზე ზოგად ცოდნასა და *common sense*-ზე დამყარებული განსჯის უნარის დაკნინება ახლავს თან. ძირითადად საბუნებისმეტყველო მიმართულების გამეცნიერებით და მისგან წარმომდგარი, პრაქტიკულ მოხმარებაზე ფოკუსირებული შეცნობით მიღებული ცოდნის მნიშვნელობა საზოგადოებისათვის სულ უფრო იზრდება. გამეცნიერების პროცესი ამავდროულად ცხოვრებისეული სამყაროსა და, პირველ ყოვლისა, საბუნებისმეტყველო მნიშვნელობით განმარტებული სინამდვილის უკიდურესობებს შორის მიმდინარეობს.

რიტერისა (1963) და მარკარდის (1986) მსგავსად ლიუბე (1987) ჰუმანიტარული — ან როგორც ის ამ მეცნიერებებს უწოდებს „ისტორიული კულტურულოგიური მეცნიერებების“ მნიშვნელობაში დარწმუნებულია (იქვე, 37): ისინი სულ უფრო სწრაფად ცვალებად სამყაროში განმსაზღვრელი მნიშვნელობის მაკომპენსირებელ ფუნქციას ასრულებენ. გამეცნიერების პროცესში ჰუმანიტარული კვლევის მნიშვნელობა კულტურისათვის არათუ მცირდება, არამედ გამუდმებით იზრდება. ეს შეხედულება მიმსგავსების იმ პროცესზე დაკვირვებიდან გამომდინარეობს, რომელსაც თანამედროვე ცივილიზაცია ემორჩილება.

ჰუმანიტარული მეცნიერებების, უკვე დიდი ხნის მანძილზე არსებული რელატიურად სუსტი პოზიციის, ფილოსოფიური პერსპექტივიდან ძლიერ პოზიციად გადაქცევას შეეცადა მარკარდიც. ლიუბეს მსგავსად ისიც თავისი მასწავლებლის, რიტერის ნაკვალევს მიჰყვება. თანამედროვე სამყაროში ჰუმანიტარული მეცნიერებების ცენტრალურ ფუნქციას ის ლიუბეზე უფრო დაჟინებით აღნიშნავს: სულ უფრო სწრაფად მიმდინარე ტექნიკურ-საბუნებისმეტყველო განვითარების პროცესისა და მისი თანმხლები თანდათანობით ჩამოყალიბებული ისტორიული ნორმების სისტემის მოშლის გათვალისწინებით ჰუმანიტარულ მეცნიერებებს მოდერნიზაციის მიერ გამოწვეული ზარალის მაკომპენსირებელი „როლი“ ენიჭება. შედეგად მარკარდი აუცილებლად მიიჩნევს ღრმა რეფლექსიას, „კომპენსაციის ფილოსოფიას“, რომელიც თანამედროვე საზოგადოებისათვის ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემატიკაზე იზრუნებს (მარკარდი 1988, 17).

სამოციანი წლების დასასრულიდან სულ უფრო შევიწროებული ჰუმანიტარული მეცნიერებების დასაცავად რიტერის, ლიუბესა და მარკარდის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები ცნობილი გახდა, როგორც „კომპენსაციის თეორია“.[13] მიუხედავად ამ ტერმინით შეჯამებული მოსაზრებების სისწორისა, მათთვის საფუძვლად დადებული შეფასება და მისგან განვითარებული ამოცანა წინააღმდეგობას ვერ გადაურჩა. თავის კრიტიკაში ჰერბერტ შნედელბახი (1988) სხვა საკითხებთან ერთად კომპენსაციის თეორიასაც განიხილავდა: მკვლევრის მოსაზრებით ის არა მხოლოდ ტრადიციული, მეცნიერული სინამდვილის არასაკმარისად ამსახველი კონტრასტული წყვილიდან „ჰუმანიტარული მეცნიერებები/საბუნებისმეტყველო მეცნიერებები“ მომდინარეობს, არამედ ინოვატორული დინამიკის ფუნქციას მხოლოდ ტექნიკურ-საბუნებისმეტყველო სფეროს ანიჭებს, რომლის დროსაც კულტურა გამაწონასწორებლის როლში გვევლინება. ცხოვრებისეული სინამდვილის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩვენ არა ორ, არამედ, *მრავალდიმენსიონალური* კომპენსაციის სისტემაში ვცხოვრობთ. შნედელბახი ამას სხვა მაგალითებთან ერთად იმითაც ადასტურებს, რომ სექსუალური მორალის ლიბერალიზაციამ შიდსის გავრცელებას შეუწყო ხელი. ეს „კულტურული ინოვაცია“ გერმანიის მთავრობის მიერ ტექნიკურ-საბუნებისმეტყველო მოდერნიზაციით, კერძოდ შესაბამისი კვლევების მხარდაჭერითა და საზოგადოების სექსუალური საკითხებით ინფორმირების საშუალებით კომპენსირდება. ასე რომ, აქ საქმე „კომპენსაციის მიმართულების ინვერსიასთან“ გვაქვს, რომელსაც კომპენსაციის თეორიის მიმდევრები არ ითვალისწინებდნენ (იქვე, 41).

შემდეგ კი შნედელბახი ყურადღებას ამახვილებს კომპენსაციის თეორეტიკოსების კულტურის შესახე კონცეპტზე. მისი რწმენით, ისინი კულტურის არასაკმარისად დიფერენცირებულ კონცეფტს გვთავაზობენ. მათი ყოვლისმომცველი არგუმენტაციით ტერმინი „კულტურა“ ამ ცნების ორდიმენსიალურობას არ გულისხმობს: ერთი მხრივ ის კულტურას ადამიანის ცხოვრებისეული სამყაროს ბუნების საპირისპირო პოლუსად წარმოადგენს; მეორე მხრივ კი კულტურა ამ ცხოვრებისეული სამყაროს ნაწილს განასახიერებს, რომელიც მაგალითად ტექნიკური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემისაგან განსხვავდება. იმის გამო, რომ კომპენსაციის თეორიის მიმდევრები კულტურის კონცეფციის ამ ორ განზომილებას ერთმანეთთან *de facto* აკავშირებენ, როგორც მათი დიაგნოზი, ასევე მათი თერაპიაც ცალმხრივი რჩება: კულტურა, როგორც ტექნიკურ-საბუნებისმეტყველო სისტემის „დამატება“, მათ მხოლოდ ნაწილობრივი გაგებით ესმოდათ და ამიტომაც ადამიანის ცხოვრებისეული სამყაროსათვის ტექნიკურ-საბუნებისმეტყველო ცივილიზაციიდან გამომიდინარე საფრთხე, როგორიცაა მაგალითად, ატომური იარაღი, გარესამყაროს კრიზისი და გენური ტექნოლოგია, მათი მხედველობის არეში საერთოდ არ მოქცეულა.[14]

საკითხის ასეთი განხილვით შენდელბახისა და მითელშტრასის კომპენსაციის თეორიით ჰუმანიტარული მეცნიერებების როლი რედუცირდება.[15] გარდა ამისა, ისინი სნოუს ორი კულტურის თე-

13. ამის და ეპოქალური სულის შესახებ კრიტიკული მოსაზრებები იხილე მიშელთან 1988.

14. კომპენსაციის თეორიის შესახებ მსგავსი რადიკალური შეხედულება აქვს გერმანისტსა და ლიტერატურათმცოდნეს ჰ. ბიომეს(1889). ის ამ თეორიას კულტურისათვის კონსერვატიულად, ხოლო პოლიტიკისათვის რეაქციონულად წარმოადგენს: ”ზოგადად ნაკლოვანებებზე საუბრობენ, რომელიც ტექნიკურ წინსვლას თან მოაქვს და რომელსაც კომპენსაცია სჭირდება. ამასთან კომპენსაცია ნიშნავს, რომ ჰუმანიტარულმა მეცნიერებებმა საკუთარ კრიტიკულ ფუნქციებზე უარი თქვან”(იქვე, 13).

15. მითელშტრასისათვის (1991, 40) ორი კულტურის თეზასა და კომპენსაციის თეორიას ჰუმანიტარული მეცნიერებების დაკნინებამდე მივყავართ.

ზას არა მხოლოდ იზიარებენ, არამედ აძლიერებენ კიდეც. აქედან გამომდინარე ორივე ფილოსოფოსი სრულიად განსხვავებული პოზიციიდან ერთსა და იმავე შედეგამდე მიდის: კომპენსაციის თეორია რეაქციონისტულია და ჰუმანიტარული მეცნიერებების მარედუცირებელი გაგებიდან გამოდის. საერთო სამეცნიერო, ასევე ცხოვრებისეული სამყაროს საერთო მდგომარეობის გათვალისწინებით არასასურველია როგორც ერთი, ასევე მეორე.[16]

მეორე მხრივ, მითელშტრასმა (1991) ჰუმანიტარული მეცნიერებებისათვის ორიენტაციის მეცნიერების ფუნქციის მინიჭების მცდელობებიც უარყოფითად შეაფასა. ასეთი მცდელობები მან პირველ რიგში პოლიტიკურ სფეროში აღმოაჩინა. მართალია, თანამედროვე სამყარო საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებებისათვის დამახასიათებელ მიზეზებზე, შედეგებსა და საშუალებებზე კოორდინირებული ტექნიკური ცოდნის გვერდით ქმედების მიმთითებელ „მაორიენტირებელ ცოდნასაც“[17] საჭიროებს, მაგრამ „მიზნებისა და პრინციპების“ ამ ცოდნის მხოლოდ ჰუმანიტარული მეცნიერებების საზღვრებში მოქცევა შეუძლებელია. უფრო მეტიც, ყოველ მეცნიერებას საკუთარი თავი ერთიანი რაციონალური კულტურის შემადგენელ ნაწილად უნდა ესმოდეს.[18]

თუ მეცნიერების სისტემაში ჰუმანიტარული მეცნიერებების მითელშტრასისეულ ანალიზს ბაზისად ავიღებთ, ჰუმანიტარული მეცნიერებები ვერც მაორიენტირებელ და ვერც მაკომპენსირებელ მეცნიერებებად ვერ გამოდგება. პირველი მის ძალებს აღემატება, მეორე კი მის შესაძლებლობებს სათანადოდ ვერ აფასებს, თუმცა ავტორი ორიენტაციას ამავდროულად ყველა მეცნიერების ამოცანად აცხადებს. მისი საბოლოო შეხედულება იმის შესახებ, რომ ჰუმანიტარული მეცნიერებები, მიუხედავად ყველაფრისა, იქნებ ღირს და იქნებ აუცილებელიცაა, რომ თავს ორიენტაციის პრობლემების კვლევას უძღვნიდნენ, შესაძლებელია, ამ მოსაზრებიდან და სამეცნიერო პრაქტიკიდან გამომდინარეობდეს (მითელშტრასი 1991, 39).

როგორც არ უნდა ვაფასებდეთ დღეს XIX საუკუნის შუა ხანებისათვის გერმანული იდეალიზმის კონტექსტში აღმოცენებული კონტრასტული წყვილის „ბუნება“ — „სული“ (შესაბამისად „საბუნებისმეტყველო“ — „ჰუმანიტარული“) მნიშვნელობას, ცხადია, რომ ფილოსოფიური კვლევები, როგორც ერთი, ასევე მეორე წყვილის შესახებ ჯერ კიდევ პოპულარულია: ამდენად მითელშტრასის (1989) მიერ ერთ-ერთ მის ნაშრომში გამოტანილი დასკვნა, რომლის მიხედვითაც ჰუმანიტარული მეცნიერებები საერთოდ არ არსებობს,[19] შეგვიძლია უმნიშვნელოდ მივიჩნიოთ. სათაური, რომლითაც ჩვენი კვლევა მიმდინარეობს, შესაძლოა XIX საუკუნის განმავლობაში „მშრალ კლასიფიკაციამდე“ (იქვე, 27) შემცირდა, მაგრამ ერთი საოცარი შედეგი მაინც აღსანიშნავია: ეს სიცოცხლის უუნარო ქმნილება დღემდე მეცნიერული სამყაროს მყარი შემადგენელი ნაწილია. უფრო მეტიც: მიუხედავად დეტალური განხილვისას აღმოჩენილი ტერმინოლოგიური ბუნდოვანებისა, დისციპლინებისათვის დამახასიათებელი განსხვავებების ზოგადი სურათის დახასიათებისათვის ეს კონტრასტული წყვილი ჯერ

16. „თუ ვიტყოდით, რომ ისტორია მაკომპენსირებელ ფუნქციას ასრულებს, მისი უამრავი ამოცანიდან მას მხოლოდ ერთმათგანზემივაჯაჭვავდით“. მაიერი(1988, 54).

17. მითელშტრასი (1991, 37f) წერს: „ორიენტაცია ცოდნას მოითხოვს, მაგრამ ცოდნა (მეცნიერების ფორმით) ორიენტაციას ვერ ჩანაცვლებს. შესაძლოა სიცოცხლის მოლეკულური ინტრაუჯრედული, ორგანიზმული და ეკოლოგიური სტრუქტურის შესახებ ბევრი რამ ვიცოდეთ, მაგრამ ამით ვერაფერს შევიტყობთ იმის შესახებ, როგორ გავიგოთ ჩვენი ცხოვრება ან როგორ უნდა ვიცხოვროთ.“

18. ნაშრომში „*ჰუმანიტარული მეცნიერებები დღეს*“ მითელშტრასი თავის თანაავტორებთან ერთად გამოთქვამს შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ამ მეცნიერებებს „როგორც კულტურის მეცნიერებებს, თვალწინ ახალი პერსპექტივა ეშლებათ. ამასთან დაკავშირებულ მათი, როგორც კულტურის მეცნიერებების ტრადიციის მოდერნიზირების შესაძლებლობა იჩენს თავს.

19. სხვა შეხედულებებთან ერთად მითელშტრასი (1989, 26) შემდეგ მოსაზრებასაც გამოთქვამს: „ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე საუბრისას წესრიგის სიმულირება ხდება, რომელიც სინამდვილეში უკვე დიდი ხანია აღარ არსებობს. მეცნიერების სისტემა დინამიკური და ღიაა. ის სწორედ მეცნიერებათა საზღვრებზეა პროდუქტიული (მაგალითებია: ეკოლოგია, სოციობიოლოგია, ბიოქიმია, ბიოფიზიკა, ანტროპოლოგია), მაშინ, როდესაც ძველი დისციპლინარული საზღვრების დაჟინებით მოთხოვნა რეგრესიული

კიდევ ადეკვატურია.[20] ამას საკუთარი ჩანაფიქრის საწინააღმდეგოდ მითელშტრასიც ადასტურებს, როცა განასხვავებს მაორიენტირებელ და ტექნიკურ ცოდნას. აქედან გამომდინარე, დიქოტომიის „ჰუმანიტარული მეცნიერებები/საბუნებისმეტყველო მეცნიერებები“ იდეალური კატეგორიზაციის მნიშვნელობით გამოყენება მომავალშიც მართებულად მიმაჩნია.

გარდა ამისა, ჯერ კიდევ რიკერტი (1926, VII) აღნიშნავდა თავისი 1899 წლის ნაშრომის მე-6 და მე-7 გამოცემებში, რომ სხვათაგან განსხვავებით ის არასოდეს იზიარებდა თეზას, რომლის მიხედვითაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს საქმე მხოლოდ კანონებთან, ხოლო ჰუმანიტარულ მეცნიერებებს საპირისპიროდ, კანონიერის საწინააღმდეგოსთან აქვთ.[21] საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებების ასეთი ცალმხრივი გაგების უკვე დიდი ხნის წინ უარყოფის შემდეგ გასაოცარია მითელშტრასის პოზიცია. თავის მოწინააღმდეგებს ის ნეოკანტიანიზმისათვის დამახასიათებელ გაგებას საყვედურობს და, ამავდროულად, თავს ისე გვაჩვენებს, თითქოს ამ მდგომარეობის გამოსწორება მის მოვალეობას წარმოადგენდეს.[22]

ვინც ამ კონტრასტულ წყვილს მომავალშიც გამოიყენებს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლორენ დასტონის (1988) დიფერენციაციასაც უნდა იცნობდეს; ის კულტურულ-სამეცნიერო თვალთახედვას ეყრდნობა და დასტონის მიერ აღინიშნება როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერება „კულტურაში“ და საბუნებისმეტყველო მეცნიერება „როგორც კულტურა“ (იქვე, 17). შედეგად საქმე გვაქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერების ორ ასპექტთან, რომელთაგან თითოეულს შეუძლია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში „კულტურად“ წოდებული ერთიანობისათვის კუთვნილებაზე პრეტენზია გამოაცხადოს.[23] მათ შორის რომ მკაცრად დიფერენცირებული საზღვრების გავლება რთულია, ამითაც დასტურდება. ამ კონტრასტული წყვილის გამოყენებისას დღეს საქმე შეიძლება მხოლოდ იდეალურ გაგებას ეხებოდეს.

2. არქეოლოგიის დისციპლინარული ადგილის განსაზღვრა

ზოგადად „არქეოლოგიის“ და არა ცალკეული არქეოლოგიური დარგების შესახებ საუბარი აქ იმდენადაა გამართლებული, რამდენადაც ის თითქმის გამონაკლისის გარეშე „ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან მიმართებაში საკუთარი „დისციპლინარული ადგილის“ განსაზღვრისას არავითარ სირთულეს არ აწყდება. ბუნებრივია, რომ კითხვაზე „დისციპლინარული“ ადგილის შესახებ კლასიკური, შუა საუკუნეებისა და რომაული პროვინციების არქეოლოგიების სპეციალისტები ჰუმანიტარულ მეცნიერებებს ამოირჩევდნენ; მსგავს არჩევანს გააკეთებდნენ წინა აზიის არქეოლოგიის სპეციალისტებიც. თუ ბიბლიური და ქრისტიანული არქეოლოგიის სპეციალისტები სხვაგვარ არჩევანს

და კონსერვატორულია“.**20.** მ. ჰაგნერი და ჰ. ი. რაინბერეგერი (2002, 23) მეცნიერთა თანამედროვე თაობას „ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო დისციპლინების დიფერენცირების მე-19 საუკუნის დასასრულს თავისი განვითარების ზენიტში მყოფი პოლიტიკის მემკვიდრეებად“ განიხილავენ. მკვლევრები წერენ: „ეს პოლიტიკა ჩვენს თანამედროვე საუნივერსიტეტო სისტემასაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს და მას მრავალი თვალსაზრისით; ასე ანტიკვარულს ხდის მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერული სინამდვილე მას დიდი ხანია ხელიდან გაუსხლტა. „საინტერესოა ის ფაქტი, რომ მკვლევართა ნაშრომი მნიშვნელოვანწილად ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყწელო მეცნიერებებსშორისარსებული დაპირისპირებით სულდგმულობს.“

21. მიუთითებდა რა ვინდელბანდის(1894) ნომოტეტიურ-საბუნებისმეტყველო და იდეოგრაფიულ-ისტორიულ მეთოდზე, რიკერტი(1926) შენიშნავდა: ეს ტერმინოლოგია სკეფსისის გარეშე არასოდეს გამომიყენებია, რადგან მისი მიზეზით შესაძლოა მართლაც შეგვექმნას მცდარი შთაბეჭდილება იმის შესახებ, თითქოს საუბარი ერთი მხრივ შეეხება სრულიად ზოგადს და მეორე მხრივ სრულიად კონკრეტულს. მე უფრო განმაზოგადებელ და მაინდივიდუალიზირებელ მეთოდზე ვსაუბრობ და უკვე დაბეჯითებით მივუთითე იმ ფაქტზე, რომ საქმე აქ არა აბსოლუტურ, არამედ რელატიურ განსხვავე-

გააკეთებდნენ, არა იმ მიზნით, რომ უპირატესობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს მიანიჭონ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ თეოლოგიასთან თავიანთი ისტორიული და შინაარსობრივი კავშირი ხაზგასმით აღნიშნონ. მხოლოდ და მხოლოდ პრეისტორიული არქეოლოგიის შესახებ შეიძლება ვინმეს ეჭვი დაებადოს. იქნებ ეს საგანი მართლაც უფრო საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს მიეკუთვნება? ან იქნებ ის საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს შორის უნდა განთავსდეს? სანამ ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ტრადიციული დიქოტომიის ფარგლებში ვრჩებით, ამ კითხვას უარყოფითად უნდა ვუპასუხო.[23]

პრეისტორიული არქეოლოგიის კვლევის საგნისა და მიზნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მიუხედავად დარგის სახელწოდების შემადგენელი გაუგებარი ზედსართავი სახელისა, არავითარი ორაზროვნება არ არსებობს: მისი სახით ისტორიულ, ე. ი. ჰუმანიტარულ დარგთან გვაქვს საქმე, რომლის ყურადღების ცენტრშიც დგას ადამიანი მთელი თავისი კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური რეალიზაციით. უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება იმის შესახებ დავფიქრდეთ, თუ რამდენად შეიძლება თანამედროვე ადამიანის პირველყოფილი ფორმები *Homo sapiens neanderthalensis*-დან Australopithecus africanus-მდე საბუნებისმეტყველო კვლევის სფეროში მოექცეს. თუ ნეანდერტალელი ადამიანისათვის ამას უმტკივნეულოდ უარვყოფთ, რაც უფრო ღრმად ვიჭრებით ადამიანის განვითარების ისტორიის შესწავლაში, სისტემური კვლევის მიმდევართათვის ეს კითხვა მით უფრო დაჟინებით ისმის. მაგრამ სისტემური კვლევის ფარგლებს გარეთ ასეთი მოსაზრებები ნაკლებად მნიშვნელოვნად მიმაჩნია.

ასე რომ კითხვას, აწყდება თუ არა პრეისტორიული არქეოლოგია ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ტრადიციული ოპოზიციის ფარგლებში საკუთარი ადგილის განსაზღვრისას პრინციპულ სიძნელეებს, შეგვიძლია უარყოფითად ვუპასუხოთ. თუ არქეოლოგიას საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს არ მივაკუთვნებთ, ეს არაფერს ამბობს იმ როლის შესახებ, რომელსაც ეს მეცნიერებები არქეოლოგიურ დარგებში ასრულებენ. თუ არქეოლოგიებს ამ პერსპექტივიდან განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა იმ შედეგების მიღწევა, რომელთაც დღეს არქეოლოგიისაგან მოველით. ადამიანის ოდინდელი ცხოვრებისეული სამყაროს რეკონსტრუქციისას, რომელიც არქეოლოგიის საშუალებით ხდება, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვადასხვა საბუნებისმეტყველო დისციპლინა. ეჭვგარეშეა, რომ სხვადასხვა არქეოლოგიურ დარგებში ეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებები განსხვავებულად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ.

დღესდღეობით ყველა არქეოლოგიურ დარგს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან, განსხვავებულად ინტენსიური, მაგრამ საერთო ჯამში მყარი კავშირი აქვს. ამ ამოსავალი მდგომარეობის გათვალისწინებით, პრეისტორიული არქეოლოგიის ზოგ მკვლევარს უმნიშვნელოდ მიაჩნია კითხვა იმის შესახებ — არქეოლოგიის

ბას ეხება. უკვე 1899 წელს აღვნიშნავდი, რომ მასში მხოლოდ იმ ორი უკიდურესობის ჩვენება მსურდა, *რომელთა შორის* თითქმის *ნებისმიერი სამეცნიერო შრომა თავსდება*. ვინც ამას არ ითვალისწინებს, ჩემს ჩანაფიქრს ვერასოდეს მიხვდება.“

22. ახსნა-განმარტებისა და მიხვედრის დილტეისეული განსხვავებისა და მარკარდისა და ლიუბესეული ახსნა-განმარტებისა და თხრობის დაპირისპირების მოხსენიების შემდეგ მითელშტრასი ასკვნის: „ორივე შემთხვევაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს მიაწერენ, რომ მათ საქმე ყოველთვის ზოგადთან, უცვლელთან და კანონზომიერთან აქვთ, ჰუმანიტარულ მეცნიერებებს კი ბრალდება, რომ მათი სახით საკითხი ყოველთვის კონკრეტულს, ცვალებადს, შემთხვევითისა და ინდივიდუალურს შეეხება, მაგრამ როგორც ერთი, ასევე მეორე დახასიათებაც მცდარია. ზოგადს [. . .] ჰუმანიტარული და ინდივიდუალირს [. . .] საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიც იცნობენ.

23. ამის შესახებ იხილე ასევე ფრუვალდი და სხვები 1991b, 10; მითელშტრასი 1991, 41. იხილე ასევე ჰ. ბიომეს, პ. მატუსეკისა და ლ. მიულერის(2000) მოხსენებები „მეცნიერებათა კულტურები“ და „ბუნების კულტურის ისტორია“ (იქვე, 106; 109; 113; 118ff.).

24. ამასთან დაკავშირებით იხილე ასევე ვ. ანგელის (2003; 2004/05) კვლევები.

სახით საქმე ჰუმანიტარულ თუ საბუნებისმეტყველო დისციპლინათა კომპლექსთან გვაქვს. თუმცა ზემოთ დასახელებულ არგუმენტთა საფუძველზე ამ თვალსაზრისის მთლიანად უარყოფა არ შეიძლება, მე ერთმნიშვნელოვნად მხარს ვუჭერ არქეოლოგიის ჰუმანიტარული მეცნიერებისათვის კუთვნილების თეორიას. ბოლოს და ბოლოს, ამ დარგთა ცენტრალური პრობლემატიკა ისტორიულ ან კულტურულ-ისტორიულ ხასიათს ატარებს. ამ პრობლემატიკის დამუშავებაში საბუნებისმეტყველო საგნების მნიშვნელოვნების მიუხედავად, გადამწყვეტი არქეოლოგიურ დარგთა კომპლექსისათვის, მაინც მისი საკუთარი არქეოლოგიურ-ისტორიული მიზანსწრაფვაა (ილუსტრ. 2. 1). მომდევნო ქვეთავში ეს დასკვნა ფართოდ იქნება განხილული.

3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების როლი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თანამედროვე არქეოლოგიაში საბუნებისმეტყველო მეთოდების მნიშვნელობის დაწვრილებით აღწერის მცდელობისას, ცალკეული არქეოლოგიური დარგების მკაცრი დიფერენციაცია უნდა მოხდეს. აქ ამის განხორციელება მხოლოდ ფრაგმენტულად და მაგალითის სახით არის შესაძლებელი.

ასე განიცადა უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე საველე კვლევის სფეროს შემადგენელმა ნაწილმა, დაზვერვების გეოფიზიკურმა მეთოდმა უჩვეულოდ სწრაფი განვითარება. შესასწავლი ტერიტორიის დათვალერების ტრადიციულ, სისტემურ მეთოდს პროსპექციის საბუნებისმეტყველო მეთოდებიც გვერდში ამოუდგა, რომელთაც კვლევის კლასიკური ხერხების ჩანაცვლება არ ძალუძთ, მაგრამ მათ მნიშვნელოვნად ავრცობენ. შესაბამისი ფიზიკური მეთოდები, ხშირად საინჟინრო მეცნიერებების მიღწევების გამოყენებით ხორციელდება, ისეთი როგორიცაა მაგალითად ვიდეოკამერით აღჭურვილი მინირობოტი, რომელიც ეგვიპტურ პირამიდებში საფლავების პირველადი შესწავლისათვის გამოიყენება.

ძეგლის ლოკალიზაციისა განსაზღვრისა და შესწავლის გარდა, საბუნებისმეტყველო მეთოდები არქეოლოგიურად საინტერესო ყველა სახის მასალის ანალიზის დროსაც განმსაზღვრელ მნიშვნელობას იძენს. ტერმინი „არქეომეტრია“ გულისხმობს მოპოვებული მასალისა და მისი თვისებების დიფერენცირებულ განსაზღვრას. ამ ბაზისზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება შემდგომი კვლევა-ძიება. შესწავლა პირველ რიგში მასალის მოპოვებასა და დამუშავებას ეძღვნება. თუმცა, კონკრეტულ შემთხვევებში ყურადღებას პროდუქციის შექმნის პროცესზეც ამახვილებს, რაც მოიცავს პროცესის წარმართვის დეტალებისა და ტექნიკური დონის შესწავალას. ამას მასალის ან მისი ოდინდელი შემადგენელი ნაწილების წარმომავლობის განსაზღვრაც თან ერთვის. ასეთ კვლევებს შეუძლიათ ფუნდამენტური ცოდნა შეგვძინონ, დაწყებული ხელოსნურ-ტექნიკური წარმოების გარემოებების შესახებ

და კონკრეტულ საზოგადოებაში არსებული რეალობით განპირობებული სოციალური დიფერენციაციით, დამთავრებული ეკონომიკური ისტორიის საკითხებით. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, შესაძლოა გავიხსენოთ ის შემთხვევები, როდესაც არქეოლოგიურად დასტურდება ნივთებისა და ნედლი მასალის უზარმაზარ ტერიტორიაზე გავრცელება.

არქეოლოგიისათვის მნიშვნელოვანია სხვა საბუნებისმეტყველო დარგებიც, როგორებიცაა, მაგალითად, ფიზიკური ანთროპოლოგია, არქეობოტანიკა ან, როგორც სხვაგვარადაც უწოდებენ, პალეოეთნობოტანიკა და არქეოზოოლოგია. თუმცა ამ დისციპლინათა როლი განსხვავებულია. ასე მაგალითად, თუ დასახელებული დისციპლინები პრეისტორიულ არქეოლოგიაში პალეოდემოგრაფიულ, ასევე გარესამყაროსა და ეკონომიკურ კითხვებზე პასუხის გასაცემად აუცილებელი და შეუცვლელია, ქრისტიანულ არქეოლოგიაში მათ გაცილებით უფრო მცირე მნიშვნელობა ენიჭებათ.

არქეოლოგიაში ფიზიკური ანთროპოლოგიის, არქეობოტანიკისა და არქეოზოოლოგიის როლის შესახებ ზემოთ აღნიშნული შენიშვნები პრინციპში რადიოკარბონული მეთოდის მეშვეობით ორგანული ნივთიერების აბსოლუტური ასაკის განსაზღვრაზეც ვრცელდება. იგივე ითქმის რელატიური დათარიღების მეთოდზეც, მაგალითად, დანალექი თიხის ან ყვავილის მტვრის სეკვენციის შესწავლაზე. როგორც ერთი, ასევე მეორე მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა მეთოდთა სპეციფიური მდგომარეობისა და ზოგადი არქეოლოგიური მოთხოვნების საფუძველზე ძლიერ შეზღუდულია. შედეგად ცალკეულ არქეოლოგიურ დარგთა რიცხვი, რომლებშიც მათი გამოყენების შესაძლებლობა არსებობს, ძლიერ მცირეა. თუ კარგად დავუკვირდებით, ნათელი გახდება, რომ ამ მეთოდების დანერგვა პრეისტორიული არქეოლოგიისათვის განსაკუთრებით ნაყოფიერია, მეტ-ნაკლებად იგივე შეიძლება ითქვას აბსოლუტური დათარიღების სხვადასხვა საბუნებისმეტყველო მეთოდების შესახებაც, დაწყებული თერმოლუმინისცენციის მეთოდიდან დამთავრებული კალიუმარგონის მეთოდით.

ასაკის აბსოლუტური განსაზღვრის აქამდე დასახელებულ მეთოდთაგან განსხვავებით დენდროქრონოლოგიური მეთოდის მეშვეობით ყველაზე ხელსაყრელ შემთხვევაში კონკრეტული წლით დათარიღებაც კი შესაძლებელია. ის ტროპიკული ტყეების გარეთ ხეების სეზონური ზრდის მონაცემებს ეყრდნობა. ასაკობრივი რგოლები ითვლება და ე. წ. „სტანდარტული“ და „შუა მრუდების“ მეშვეობით და ხდება მათი ქრონოლოგიური შეფასება. დენდროქრონოლოგია რევოლუციური აღმოჩნდა ორმაგი მნიშვნელობით: ერთი მხრივ უკანასკნელი 10 000 წლის მანძილზე ევროპის პრეისტორიული და ადრეისტორიული წარსულის კვლევისათვის და მეორე მხრივ კი ამ მეთოდის საშუალებით რადიოკარბონული მეთოდის მიერ შემოთავაზებული „რადიოკარბონული წლების“ მზის წლებად გადაანგარიშებისათვის. მხოლოდ ამ, ე. წ. „კალიბრაციის“ მეშვეობით გადაიქცა რადიოკარბონული მეთოდი დათარიღების იმ საიმედო ხერხად, რომლადაც ის დღეს ითვლება.

ზომიერ კლიმატურ ზონებში დენდროქრონოლოგია ზუსტი ასაკის განსაზღვრის შესაძლებლობას გვაძლევს, რასაც არა მხოლოდ პრეისტორიული არქეოლოგიისათვის აქვს განმსაზღვრელი მნიშვნელობა. ამ მეთოდს ხშირად პროვინციულრომაული და შუა საუკუნეების არქეოლოგიებიც იყენებენ: ამ გზით ისინი ახერხებენ მოპოვებული მასალის, რომელიც წერილობითი წყაროების მიხედვით თარიღდება, ასაკის დამოუკიდებლად განსაზღვრასა და, გარკვეულ შემთხვევებში, შესწორებასაც კი.

დენდრო მონაცემების მნიშვნელობას ნათლად ასაბუთებს მაგალითი, რომელიც კასიუს დიოს[25] ცნობას უკავშირდება ამ წყაროს მიხედვით დრუსუსმა ძვ. წ. 11 წელს, როდესაც ის ვეზადან რაინისკენ ბრუნდებოდა *ლიპესა* და *ელისონის* შესართავთან ციხესიმაგრის აგება ბრძანა. დრუსუსს თავი უნდა დაეცვა ზუგამბრელებისაგან, რომლებიც რაინის მარჯვენა სანაპიროზე რომაელთა ყველაზე საშიშ მოწინააღმდეგეებად ითვლებოდნენ. ჯერ კიდევ 1910 წელს ობერადენის (დღეს ბერგკამენ-ობერადენი) რომაული ბანაკის პირველი გათხრების შემდეგ გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს დიოს მიერ დასახელებული თავდაცვითი სისტემა იყო. ეს თეზა უკანასკნელ ათწლეულში განხორციელებული გათხრების შედეგად აღმოჩენილი, ბანაკისათვის გარშემორტყმული ხისა და მიწისაგან შემდგარი კედლიდან მოპოვებული დენდრო მონაცემებით კიდევ უფრო განმტკიცდა: კედლის მშენებლობაში გამოყენებული ხის მასალა, მოჭრილი იყო ძვ. წ. 11 წლის ზაფხულის დასასრულს ან შემოდგომაზე. ამავე წელს და წელიწადის ამავე დროს იყო მოჭრილი იმ ხეების დიდი ნაწილიც, რომელიც ჭების დასამზადებლად და საპირფარეშოების მოსაპირკეთებლად გამოიყენეს (შმიდტი 1992).

რაინის მარჯვენა სანაპიროს იმდროინდელ ზოგად სამხედრო და პოლიტიკური ვითარებას გათვალისწინებით, ეჭვს იწვევს თეზა დრუსუსის მიერ ძვ. წ. 11 წელს ლიპეზე ლეგიონთა ორი ბანაკის მოწყობის თაობაზე (კულბორნი 1992, 123). თუმცა, ისტორიული სინამდვილე დიოს ცნობას უჭერს მხარს. თუ ამ შეფასებას დენდრო მონაცემებსაც დავუკავშირებთ,[26] ყველაფერი მიუთითებს ობერადენზე, როგორც დიოს მიერ მოხსენიებულ ბანაკზე. ამავდროულად ჩნდება დამატებითი არგუმენტი, რომ სინამდვილეს შეესატყვისება დიოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომაელთა მიერ რაინის მარჯვენა სანაპიროს ოკუპაციის საწყისი ფაზის შესახებ.

25. კასიუს დიო. 54, 33, 4.

26. ძვ. წ. 11 წლის გვიან ზაფხულზე ან შემოდგომაზე მოჭრილი ხეების განსაკუთრებული მნიშვნელობა ისტორიული პრობლემატიკისათვის იმაში მდგომარეობდა, რომ მათ სიმშრალის არავითარი ღარები არ ეტყობოდათ. ისინი ნედლად იყო დამუშავებული.

იმედი მაქვს, ამ ფრაგმენტულმა და მხოლოდ ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტით შემოფარგლულმა მიმოხილვამ ცხადად წარმოაჩინა საბუნებისმეტყველო მეციერებების როლი დღევანდელ არქეოლოგიაში: ისინი სხვადასხვა სახითა და ინტენსივობით ცალკეული არქეოლოგიური დარგების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილებია. პრეისტორიული არქეოლოგიისათვის მათი მნიშვნელობის მიუხედავად, არქეოლოგიის დაგრები საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ნაწილს არ წარმოადგენს.

რუდოლფ ვირხოვმა (1821-1902) ჯერ კიდევ 130 წლის წინ განსაზღვრა, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, „ყველა საგანი“, რომელიც პრეისტორიის კვლევაში იყო ჩართული. იგი ასახელებდა:

ანატომიას, ზოოლოგიას, ბოტანიკას, გეოლოგიასა და ასტრონომიას. ეს შეხედულება დღემდე ძალაშია (ვირხოვი 1874. VII). მაგრამ თუ ვირხოვს თანამედროვე არქეოლოგიის მამამთავრად მივიჩნევთ, როგორც ეს დღეს შიგადაშიგ ხდება (ჰანზენი 2001 ა, 608 ფ.), კვლევით-ისტორიული სინამდვილე გაყალბდება, ვირხოვი კი ნათელმხილველად წარმოჩნდება. ვირხოვს თანამედროვე არქეოლოგიის ფუძემდებლად ვერ ვაღიარებთ. რა თქმა უნდა, ვერავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ მისთვის პრეისტორიული კვლევა მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ძირითადად საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისაგან შედგებოდა. მაგრამ პრეისტორიის კვლევას საუკუნოვანი ისტორია აქვს. ის სათავეს იღებს 1895 წელს გუსტავ კოსინას (1858-1931) მიერ წაკითხული პროგრამული მოხსენებიდან, რომელიც ეხებოდა გერმანიის ტერიტორიაზე გერმანების განსახლებას.[27] მოხსენებაში გამოთქმული ბევრი მცდარი შეხედულების და არასწორი დასკვნის მიუხედავად კოსინამ ნათლად წარმოაჩინა პრეისტორიული არქეოლოგიის ჭეშმარიტად ისტორიული ხასიათი. ის თავის თავში ჰუმანიტარული მეცნიერებების კონცეფტებისა და თეორიების ჩამოყალიბების მთავარ მნიშვნელობასაც მოიცავს. თუ პრეისტორიული არქეოლოგიის არსს ჩავუღრმავდებით, აღმოჩნდება, რომ საქმე პირველ ყოვლისა ისტორიულ ან კულტურულ-ისტორიულ პრობლემატიკასთან გვაქვს, რომლის შესწავლის ყველა საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეთოდები გამოიყენება. რაოდენ დიდი მნიშვნელობაც არ უნდა ჰქონდეს ამ მეთოდებს, დარგისათვის გადამწყვეტი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, მისი არქეოლოგიურ-ისტორიული მიზანია.

პრეისტორიული არქეოლოგიის მაგალითზე მიმოხილული არქეოლოგიურ-ისტორიული პრობლემატიკა, რომელიც ეფუძნება ჰუმანიტარული და საბუნებისმეტველო მეცნიერებების კვლევის საფუძვლებსა და მეთოდებს სხვადასხვა ხარისხით აქტუალურია არქეოლოგიის ყველა დარგისათვის.

დასასრულ მსურს ერთ ასპექტსაც შევეხო, რომელიც ასევე ჩვენს კონტექსტში თავსდება. ის „ჰუმანიტარული მეცნიერებების“ ხარისხობრივ და „საბუნებისმეტყველო მეცნიერებების“ რაოდენობრივ ურთიერთობას შეეხება. ეს პრობლემატიკა ცოტა ხნის წინ ტრადიციული ჰუმანიტარული მეცნიერებების კონცეფტებისა და მეთოდების რეფლექსიისათვის მიძღვნილ წიგნში (ეგერტი 2001 ა) იქნა განხილული. ამ კონტექსტში საინტერესო არგუმენტები მოაქვს სვენდ ჰანსენს (2001, 608). მისი მოსაზრებით არქეობოტანიკა, არქეოზოოლოგია, რადიოკარბონული მეთოდი, გეოფიზიკური დაზვერვები და აეროარქეოლოგია „მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არქეოლოგიური კონცეფტების გაგებაზე“ (იქვე, 609).[28] ჰანსენის შეხედულება არ არის დამაჯერებელი, ვინაიდან მის მიერ მაგალითად დასახელებული „ნეოლითური რევოლუცია“ მხოლოდ რადიოკარბონული მონაცემების კალიბრაციის შემდეგ როდი გახდა საეჭვო. იგივე შეიძლება ითქვას მის მიერ მოყვანილ სხვა მაგალითზეც. მონაცემთა კალიბრაციის შედეგად დადგინდა, რომ შვეიცარიის ნეოლითური ხანის დასასრულის „ჰორგენული კულ-

27. ამის შესახებ იხილე ქვემოთ, გვ. 43.
28. ხაზგასმა ჩემ მიერ ხდება.

ტურა“ 500 წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ჰანსენის კითხვა, ვინ იფიქრებდა ახალ კალიბრაციამდე ამ კულტურის ასე ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებობას, პრინციპულ პრობლემას გვერდს უვლის. მნიშვნელოვანია არა რომელიმე არქეოლოგიური კულტურის არსებობის ხანგრძლივობა, არამედ მატერიალური კულტურის ფორმათა ცვლილების კონცეფტი, ამ ცვლილებების გამომწვევი მიზეზები და მექანიზმები. ამაში რადიოკარბონულ მეთოდს საკუთარი წვლილის შეტანა არ ძალუძს. საუკეთესო შემთხვევაში მას მხოლოდ დროული მონაკვეთის განსაზღვრა შეუძლია. ჰანსენის უკანასკნელ მაგალითსაც რომ შევეხოთ, ევროპის პრეისტორიაში წინა აზიასთან შედარებით მართლაც „უამრავი სინქრონული მონაცემი“ შეიცვალა და მათი ხელახალი კალიბრაციის საჭიროება გაჩნდა. ჰანსენისაგან განსხვავებით მიმაჩნია, რომ ამას კულტურათა ურთიერთობების კონცეფტთან საერთო ან არაფერი ან ძალიან მცირე რამ აქვს.

მიუხედავად ამისა, ვერ უარვყოფთ იმ ფაქტს, რომ შესაბამის პირობებში რაოდენობის ხარისხად გარდაქმნა შესაძლებელია, რაც ჰეგელის შემდეგ ფრიდრიხ ენგელსმაც (1820-1895) ხაზგასმით აღნიშნა.[29] ოსკარ მონტელიუსმა (1843-1921) რაოდენობის ხარისხად გარდაქმნის შესაძლებლობა არქეოლოგიურ მეცნიერებაში წარმოადგინა (მონტელიუსი 1896, 156).[30] თუმცა არქეოლოგიაში საქმე ყოველთვის მზარდ უტყუარობას ეხება მზარდი ალბათობის მნიშვნელობით და არა, მაგალითად, ძირითად კონცეფციურ და თეორიულ საკითხებს. ამიტომაც არის მცდარი არქეოლოგიის მეცნიერულ-ისტორიული კონტექსტისაგან ჩამოშორება.

4. შედეგი

ამ თავის დასაწყისში განხილული საკითხი — ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ტრადიციული დიფერენციაცია — კვლავაც აკტუალურია უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე ფილოსოფიურ დისკუსიაში. თუმცა თვალნათლივ ჩანს, რომ ეს დისკუსია არ ითვალისწინებს კვლევის განვითარების იმ საფეხურს, რომელიც XX საუკუნის პირველ ორ ათწლეულში უკვე მიღწეული იყო.

არქეოლოგიის დისციპლინარული ადგილის განხილვისას თავს იჩენს ტრადიციული დიქოტომიის მნიშვნელობა, იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება ცალკეული არქეოლოგიური დარგების ძირითადი ორიენტაციის განსაზღვრას. ამ თვალსაზრისით ზოგადად, თუმცაღა არა ყველგან, შესაძლოა ერთსულოვნება სუფევდეს: მეცნიერულ-ისტორიულად და შინაარსობრივად არქეოლოგიები ჰუმანიტარულ მეცნიერებებს განეკუთვნება.

საბოლოოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების როლის განხილვამ დიფერენცირებული სურათი დაგვიხატა. ისინი ამა თუ იმ ფორმით ყველა ცალკეული არქეოლოგიური დარგისათვის მნიშვნელოვანია. თუმცა ყოველი მათგანისათვის მათი მთავარი მიზნის

29. ამის შესახებ დეტალური დოკუმენტაცია იხილე ლოტერთან და სხვებთან 1984, 74ff.; 297 ff.

30. იხილე ეგერტი 2001, 55.

მიხედვით ნამდვილად საყურადღებო განსხვავებები გამოიკვეთა. როგორც ჩანს, ყველაზე მნიშვნელოვან როლს საბუნებისმეტყველო მეცნიერებები პრეისტორიაში ასრულებენ. ამან განაპირობა, რომ წინამდებარე მიმოხილვაში ბევრჯერ შევეხე პრეისტორიულ არქეოლოგიაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მნიშვნელობას.

არქეოლოგიისათვის საბუნებისმეტყველო მეთოდების მნიშვნელობის მიუხედავად საქმის პრინციპული ვითარება ასეთია: ყველა საბუნებისმეტყველო კვლევას აზრს მხოლოდ არქეოლოგიურ-ისტორიული მიზანი სძენს, მისი ფუნდამენტური პრობლემატიკა კი ისტორიულ-კულტუროლოგიურ კვლევით ინტერესებზეა დაფუძნებული.